ახალგაზრდა ივერიელი

სამშაბათი,
20 მარტი,
1990 წ.
№ 31 (11517)

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოოგადი,

ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...“

დღეს ჩვენი გაზეთი ახალი სათაურით გამოდის

ყურადღება!

ჩვენი თხოვნით ახალი სათაური გრაფიკულად უმოკლეს დროში ოპერატიულად შეასრულა მხატვარმა მალხაზ კუხაშვილმა. ამდენად, ცხადია, ის სრულყოფილი არაა. სამწუხაროდ, დიდ თანხას ვერავის დავპირდებით (მოგეხსენებათ, გაზეთის რეალიზაციიდან მიღებული თითქმის მთელი ფული პარტიულ ბიუჯეტში მიდის) და ამიტომ ვერც კონკურსს გამოვაცხადებთ, მაგრამ თუ მხატვრები სათაურის უკეთეს გრაფიკულ ვარიანტს შემოგვთავაზებენ, დიდად მადლიერნი დავრჩებით.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში საკუთარი სიტყვის უკეთ თქმის სურვილითაა ეს განპირობებული და შინაგანი ღრმა თვისებრივი გარდაქმნის, ეროვნული გამოღვიძების აუცილებლობით ნაკარნახევი.

დიდხანს ვესწრაფოდით ამას ყველანი, მკითხველებიც და ახკომელებიც. სიხარულთან ერთად სევდასაც აღძრავს ეს დღე გარდასული დროის გამო, დღეს უკვე საქართველოს ახალგაზრდული პრესის ისტორია რომ ჰქვია. ძველი სათაურის უარყოფა სრულებითაც არ ნიშნავს გაზეთში არსებული ჯანსაღი ტრადიციების უარყოფას. ძველ სათაურზე ხაზგადასმა ჩვენამდე აქ მოღვაწე თაობების დამსახურებაზე ხაზის გადასმას. პირიქით, მათი განვითარება, გაღრმავება და აღორძინებაა ჩვენი სურვილი.

ისტორიას უნდა ჩავაბაროთ ის დრო, როცა ჭოჭმანი გონიერებად ცხადდებოდა, მაღალი ტრიბუნიდან უხარგებლო და უნაყოფო პირიმზეობა — ერისკაცობად, როცა ძალა აღმართს ხნავდა და ახკომელთა ხმაც ყოველთვის როდი ემთხვეოდა ერის ხმას. დღეს ჩვენ სულ სხვა ვარსკვლავს უნდა ვსდიოთ, ჩვენი თავისუფალი სიტყვა სრულიად საქართველოს ახალგაზრდობის სულისკვეთების გამომხატველი უნდა იყოს. ალბათ, დღევანდელ ჩვენს ნაბიჯს ყველა ერთმნიშვნელოვნად როდი აღიქვამს და საკუთარი სამრეკლოდან ზარებსაც დაარიხხებს, მაგრამ, როცა ასე ძლიერად ხმიანობს ეროვნული გამოღვიძების დედო ზარი, ყველამ უნდა დაიოკოს თავისი ამბიციები, ამოგვიდგეს მხარში, რადგანაც ერის კონსოლიდაციაა ის გზა, რომელმაც სანუკვარი თავისუფლება უნდა მოგვიტანოს.

ნაბიჯი დამოუკიდებლობისაკენ

პრის საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირი

კვირას, 18 მარტს გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა დამფუძნებელი კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სსრკ ჟურნალისტთა კავშირისაგან გამოყოფის შესახებ.

ბაბრი ვადაპკორიას ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილოცვები

„იცნის უფალმან გზანი უბიწოთანი, და მკვიდრობაი მათი უკუნისამდე ეგოს. არა ხირცხვილეულ იქმნენ იგინი ჟამსა ბოროტსა და დღეთა სიყმილისათა განძღენ. რამეთუ ცოდვილნი წარწყმდენ, ხოლო მტერნი უფლისანი დიდებასა ოდენ მათსა და ამაღლებასა მოაკლდენ და ვითარცა კუამლი განქარდენ... დაუთმე უფალსა და დაიცევ გზაი მისი, და აღგამაღლოს შენ დამკვიდრებად ქუეყანისა, და მოსრვაი ცოდვილთაი იხილო“ (ფს. 36, 18-20, 34).

ხამი ათასი წლის წინათ ითქვა ეს სიტყვები და დღეს ჩვენ კვლავ ვრწმუნდებით მათს ჭეშმარიტებაში. იშლება ბოროტის მანქანებით შექმნილი სისტემა და იწმინდება ჩვენი ცნობიერება. დღეს გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი. შეიცვალა ახალგაზრდებისათვის მიძღვნილი გაზეთის შინაარსი და შესაბამისად შეიცვალა მისი ფორმა, სათაური, გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი ეროვნული აღორძინების, ეროვნული ცნობიერების გაღვიძების გზაზე. „ღმერთმა აკურთხოს ერი თავისი მშვიდობით“.

თბილისის სახელმწიფო აკადემიისა და სემინარიის რექტორი გიორგი (გამრეკელი).

●

გახარებული ვულოცავ რედაქციას „ახალგაზრდა ივერიელისას“ ამ ახალ სახელს.

დარწმუნებული ვარ: სახელი ძალებს გაგიათკეცებთ.

მაგრამ ისიც ვიცი, რომ ახე ათჯერ მძიმე გახდება თქვენი ტვირთი:

„ახალგაზრდა კომუნისტს“ არავინ მოსთხოვდა სრულყოფილებას, „ახალგაზრდა ივერიელი“ კი სწორედ რომ ვალდებულია მშვენიერების, სიკეთისა და ხიმართლის საწყაული იყოს.

ხოლო იმპერია ჯერაც ფეხზე დგას.

ამიტომაც გისურვებთ ხიმამაცეს, ხიმხნევესა და გაუტეხლობას.

გურამ პეტრიაშვილი

ქალბატონ ხალოკმიდოსან!

ჩემი ვინაობა, ჩემი ოჯახური და კერძოსანი! ალბათ ვერ მიხვდებოდა, რომ ბიბლიოთეკაში ეკვე ბრძანებულიყავ, ოთხი ფეხით ბრძანებულიყავ ინტერესი ან ქალაქებულია ეიდი ბუნებრივი ეოთხელეთ ქიმიაზეულია, — მეორეს ბოლოს შინაარსია. აქვსრავთ ეს ბავშვი ისაა, რომ ბავშვობა ეოთხელეს ბავშვობა ეკანდელა ნაწილ და ბრძოლოდ მაინ ლოგიკურია ალეთ.

ეს ფიგურალურ ბავშვობა ეოთხელეს ეკანდელ (((

რა იქნება შემდეგ?

დღეს მუშაობას შეუდგა საქართველოს კომკავშირის ბოლო ყრილობა. რა იქნება შემდეგ? — ამ კითხვაზე საბოლოო პასუხს მოელის საქართველოს ახალგაზრდობა. მათ შორის არიან ჩვენი გაზეთის დღევანდელი სტუმრებიც, რომლებიც საკუთარ, კონკრეტულ მოსაზრებებს გამოთქვამენ ამის თაობაზე. მოვუსმინოთ მათ:

ეკა ბაქრაძე

— კომკავშირო!

ასეა: როცა აღარაფერი გრჩება სათქმელად, უნდა გაჩუმდე, როცა აღარავის სჭირდები, უნდა წახვიდე. უხმაუროდ უნდა გაიხუროკარი და შენი არსებობით მომავლის ნათელ დღეებს აღარ აეზღუდო. შენ ბევრი მიუტევებელი ცოდვა გადევს კისერზე, ბევრ ახალგაზრდას მოუწამლე სული და გონება. რვაფეხასავით შემოეწანი სინდისზე და მარწუხა საცეცებით უზვად გამოსწოვე თანადგომის, თანაგრძნობის, თავისუფლებისაკენ ლტოლვის, ბრძოლისა და შემოქმედებითი ძიების ნიჭი. კმარა! ახლა გზა თავისუფალი ახალგაზრდობის — მომავლის კავშირს უნდა დაუთმო.

კომკავშირო, დაგვიბრუნე უკან ის შესანიშნავი ახალგაზრდობა, ათეული წლების განმავლობაში ბაყბაყ-დევივით რომ შთანთქე, მაგრამ ვერ მოინელე, ვერ გადაუტეხე ეროვნული სიმტკიცის ხერხემალი. ისინი ჩვენი ეროვნული მდინარის შენაკადები არიან და თავისუფალი საქართველოს მლეღავარე ზვირთებად უნდა იჩქეფონონ. თაობა მოდის!

იმაზე მეტი,
რაც გაგაჩნია,
არც რა არა გაქვს! —
ისაც მოიპოვე,
ვაი-ვიშით და
სულის მიხდომით...
ჰოდა,
იკმარე —
რავეთუ მიზეზს,
უმთავრეს მიზეზს
თავის თავში
უნდა დაძებნა!
რა გაგაჩნია,
რისი იმედით?!
ერთხელ მაინც
თუ დაფიქრებიხარ? —
როდემდე უნდა
ითრიო ფეხი...
სხვა გზა არა გაქვს, —
შეისმინე,
სხვა ხსნა არ არის, —
იმაზე მეტი
რაც ხარ —
არა ხარ!!!
რისი გულისთვის,
ვისი იმედით?!

მიშა იაშვილი,

საწარმოო-შემოქმედებითი ახალგაზდული გაერთიანება „პალიტრის“ დირექტორი:

— ჩვენი თაობა სიყალბეზე აღიზარდა, კიდევ კარგი, ბევრ რამეს კრიტიკულად შევხედეთ და იდეალად არ გაგვიხდია. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ახალგაზრდობის მომავალი კავშირიც ხმამაღალ სიტყვებად დარჩეს. ჩემი დიდი სურვილია, იგი ჭეშმარიტად ეროვნული და ყოველგვარი იდეოლოგიისაგან თავისუფალი ორგანიზაცია იყოს.

ჩვენ ყველამ რეალური საქმე უნდა ვაკეთოთ — საქართველოსათვის საჭირო საქმე. ალბათ სწორი იქნება, თუ ახალგაზრდულ ქალაქშიც, რომელიც ამასწინათ რატომღაც მხოლოდ თბილისის უნივერსიტეტს გადაეცა, მხატვრებსაც, ერთი სიტყვით, შემოქმედ ახალგაზრდობასაც გვექნება ჩვენი კონკრეტული უბანი. მომაჩნია, რომ სწორედ აქ უნდა ჩატარდეს აკვარელისტთა საერთაშორისო სიმპოზიუმიც, რომლის გახსნაც 15 სექტემბრისათვის არის დაგეგმილი.

გზას ვუღლაკავ თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირს. დაე, ყოფილიყოს იგი თავისუფალი ყოველგვარი ბიწიერებისაგან!

გიგლა კუნჭულია,

სახალხო, ახალგაზრდულ, სამეცნიერო, შემოქმედებით, საწარმოო კონცერნ „ლილეს“ გენერალური დირექტორი:

— გარდაქმნის პერიოდში კომკავშირთან შეიქმნა მრავალი ფართო პროფილის გაერთიანება თუ კოოპერატივი, რომლებიც ახალგაზრდობისა და ბავშვებისათვის აწარმოებენ პროდუქციას, ემსახურებიან მათ. ვფიქრობ, მიუღებელია მათი არსებობა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, ამიტომ რამდენიმე გაერთიანების შრომითი კოლექტივების საერთო კრებაზე გადაწყდა წარმოებისა და სოციალური განვითარების, მატერიალური, ფინანსური და სხვა რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენების, სამეცნიერო-ტექნიკური, ეკოლოგიური ამოცანების გადაწყვეტის მიზნით ნებაყოფლობით გაეწიათ დელეგირება მათი ზოგიერთი უფლებისათვის და შეექმნათ სახალხო, ახალგაზრდული, სამეცნიერო, შემოქმედებითი, საწარმოო კონცერნი „ლილე“.

ვფიქრობ, ჩვენს კონცერნს მჭიდრო კავშირი ექნება საქართველოს თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირთან, რადგან მისი წესდება ითვალისწინებს ამ სახის კავშირურთიერთობებს.

კონცერნი, ნებაყოფლობით საწყისებზე გაერთიანებს ყველა იმ სამეურნეო ინსტიტუტს, რომლებსაც აქვთ ორიენტაცია ახალგაზრდობის, ბავშვების მომსახურებისაკენ. იგი გაერთიანებს კომერციულ ფირმებს, ახალგაზრდობის სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების ცენტრებს, გაზეთებს, საკაბელო ტელევიზიის ცენტრებს და სხვა.

ყოველივე ის, რაც შექმნა და ჩამოაყალიბა ახალგაზრდობამ, ყოველივე ის, რაც ემსახურება ახალგაზრდობას, ახალგაზრდობის კუთვნილებადვე უნდა დარჩეს!

თამაზ ჩიქოვანი,

საქართველოს ახალგაზრდული შემოქმედებითი გაერთიანება „იბერის“ გენერალური დირექტორი:

— ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, მათ შორის, კომკავშირის ლიკვიდაცია, — უთუოდ მისასალმებელია. ახალგაზრდობის კავშირი, რომლის წესდებაცა და პროგრამაც უკვე დაბეჭდა, მრავალმხრივ არის პროგრესული. დიახ, ახალგაზრდობას უნდა ჰქონდეს თავისი დამოუკიდებელი, პოლიტიკისაგან თავისუფალი კავშირი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, პატრიოტულ მიზნებს მოემსახურება და ერის მომავალზე — მივესალმები ისეთი თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირის შექმნას, რომელიც თავის წვლილს შეიტანს საქართველოს სრული პოლიტიკურ-ეკონომიკური სუვერენიტეტის აღდგენის დიდ საშვილოშვილო საქმეში; იხელმძღვანელებს ზოგადსაკაცობრიო, ზოგადეროვნული პრინციპებით და ამ საფუძველზე ითანამშრომლებს ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს აღდგომა-გამოხსნისათვის მებრძოლ ყველა ორგანიზაციასთან, მათი პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად.

კავშირს უნდა ჰქონდეს საკუთარ, ეროვნულ ძიებებზე დამყარებული სიმბოლიკა, დროშა, ემბლემა და სხვა.

კარგი იქნება, თუ მის მფლობელობაში გადავა ე. წ. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის შენობა, ან თუნდაც მისი ნაწილი.

ლმერთი იყოს ასეთი კავშირის მფარველი და შემწე.

ზურაბ გოგოლაძე,

დემოკრატ მოზარდთა ასოციაციის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე:

— კომკავშირი, დღიდან შექმნისა, იყო ორგანიზაცია, რომელიც არ ითვალისწინებდა ქართველი ერის ინტერესებს და მისი გაუქმება სავსებით კანონზომიერია. ჩემი აზრით, თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირი თავისუფალი უნდა იყო ყოველგვარი იდეოლოგიური ზემოქმედებისაგან და არ უნდა ჰქონდეს არავითარი შეხება კომუნისტური პარტიის პლატფორმასთან.

ცხადია, საქართველოს თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირი მოითხოვს ბაზას და არაფერია ცუდი იმაში, თუ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ყოფილ შენობაში სხვა ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ერთად მასაც მიეცემა კუთვნილი ადგილი.

არჩილ ჯორბენაძე,

ახალგაზრდობის სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების ცენტრის „უნივერსიტეტის“ დირექტორი:

— საქართველოს თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირის შექმნა უაღრესად პროგრესული მოვლენაა. ჩვენი ტიპის ცენტრებს იგი მოქმედების ახალ ასპარეზს მისცემს. შესაძლებლობა გვექნება ძირეულად შევცვალოთ ჩვენი დანარჩენს კონკრეტული საქმეები გვიჩვენებს!

არჩილ ბოხრეიძე,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს წევრი:

— ეროვნული ორგანიზაციებთან, ამიტომ ერთ-ერთ ეროვნულ ორგანიზაციასთან, მათი პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად.

კავშირს უნდა ჰქონდეს საკუთარ, ეროვნულ ძიებებზე დამყარებული სიმბოლიკა, დროშა, ემბლემა და სხვა.

კარგი იქნება, თუ მის მფლობელობაში გადავა ე. წ. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის შენობა, ან თუნდაც მისი ნაწილი.

ღმერთი იყოს ასეთი კავშირის მფარველი და შემწე.

ზურაბ გოგოლაძე,

დემოკრატ მოზარდთა ასოციაციის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე:

— კომკავშირი, დღიდან შექმნისა, იყო ორგანიზაცია, რომელიც არ ითვალისწინებდა ქართველი ერის ინტერესებს და მისი გაუქმება სავსებით კანონზომიერია. ჩემი აზრით, თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირი თავისუფალი უნდა იყო ყოველგვარი იდეოლოგიური ზემოქმედებისაგან და არ უნდა ჰქონდეს არავითარი შეხება კომუნისტური პარტიის პლატფორმასთან.

ცხადია, საქართველოს თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირი მოითხოვს ბაზას და არაფერია ცუდი იმაში, თუ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ყოფილ შენობაში სხვა ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ერთად მასაც მიეცემა კუთვნილი ადგილი.

— მივესალმები ისეთი თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირის შექმნას, რომელიც თავის წვლილს შეიტანს საქართველოს სრული პოლიტიკურ-ეკონომიკური სუვერენიტეტის აღდგენის დიდ საშვილოშვილო საქმეში; იხელმძღვანელებს ზოგადსაკაცობრიო, ზოგადეროვნული პრინციპებით და ამ საფუძველზე ითანამშრომლებს ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს აღდგომა-გამოხსნისათვის მებრძოლ ყველა ორგანიზაციასთან, მათი პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად.

კავშირს უნდა ჰქონდეს საკუთარ, ეროვნულ ძიებებზე დამყარებული სიმბოლიკა, დროშა, ემბლემა და სხვა.

კარგი იქნება, თუ მის მფლობელობაში გადავა ე. წ. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის შენობა, ან თუნდაც მისი ნაწილი.

ღმერთი იყოს ასეთი კავშირის მფარველი და შემწე.

ზურაბ გოგოლაძე,

დემოკრატ მოზარდთა ასოციაციის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე:

— კომკავშირი, დღიდან შექმნისა, იყო ორგანიზაცია, რომელიც არ ითვალისწინებდა ქართველი ერის ინტერესებს და მისი გაუქმება სავსებით კანონზომიერია. ჩემი აზრით, თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირი თავისუფალი უნდა იყო ყოველგვარი იდეოლოგიური ზემოქმედებისაგან და არ უნდა ჰქონდეს არავითარი შეხება კომუნისტური პარტიის პლატფორმასთან.

ცხადია, საქართველოს თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირი მოითხოვს ბაზას და არაფერია ცუდი იმაში, თუ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ყოფილ შენობაში სხვა ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ერთად მასაც მიეცემა კუთვნილი ადგილი.

ლაშა ნადარეიშვილი,

გაზეთ „დვრიტას“ რედაქციის სახელით:

— დადგა მახინჯი იდეოლოგიით მოწამლული ახალგაზრდობის თვითგამორკვევის ნანატრი წუთი!

ნათლად გამოიკვეთა თითოეული ჩვენთაგანის უზენაესი მიზანი — საქართველოსთვის დაბადება და სიკვდილი!

არ არსებობს სხვა გზა — თავისუფლების გარდა, არ არსებობს სვეტიცხოვლის გუმბათზე დიადი სიმაღლე!

ამიერიდან საქართველოში მხოლოდ ეროვნულმა ორგანიზაციებმა უნდა იარსებონ. ახალგაზრდობაც მხოლოდ ეროვნული ორიენტაციის თავისუფალ კავშირებში უნდა გაერთიანდეს!

დაე, იყოს შეჯიბრი სიყვარულსა და სიკეთის ქმნაში, ერთგულებასა და სიწმინდეში!

გაზეთი „დვრიტა“, რომელიც ამ დღეებში დაიბადა, მთელი არსებით უერთდება საქართველოში დაწყებულ დიდ ეროვნულ მოძრაობას!

ჩვენ გვჯერა სინათლის გამარჯვების!

ლაშა კიკალეიშვილი,

საქართველოს ახალგაზრდობის ფონდ „მამულის“ თავმჯდომარე:

— დღეს ალბათ ერთადერთი შესაძლებლობაა იმისა, რომ არ მიესალმო კომკავშირის ყრილობას — ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება კი, რომელიც ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირში გაერთიანებულმა ქართველმა ახალგაზრდობამ შეიძლება მიიღოს, ამ კავშირის ბათილად გამოცხადებაა და თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირის შექმნაა.

ვფიქრობ, საუკუნოვან ქართულ გენს შესწევს უნარი დაამსხვროს ძალადობის იდეოლოგია. თავისუფლებისა და განახლებისაკენ პირველი რეალური ნაბიჯებიც სწორედ ახალგაზრდობამ უნდა გადადგას.

დაე, ქრისტეს რწმენით განათებულს ევლოს საქართველოს თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირს.

ნუკრი ჯინჭარაძე,

ახალგაზრდული საკაბელო ტელევიზიის თავმჯდომარე:

—წლების მანძილზე გვიმტკიცებდნენ: კომკავშირი ჩვენი მოწინავე ახალგაზრდობის აზრებისა და მისწრაფებების გამომხატველიაო... დადგა დღე, როდესაც ამ სიტყვების აღარავის სჯერა.

მთელი არსებით მივესალმები თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირის შექმნას და იმედს გამოვთქვამ, რომ იგი მხოლოდ მართალი გზით ივლის!

მითი თუ სინამდვილე?

საზოგადოებაში კარგა ხანია არის მითქმა-მოთქმა ე. წ. „ბერიას გვირაბთან“ დაკავშირებით, რომელიც თითქოს მის საცხოვრებელ სახლს ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ შენობასთან აკავშირებდა, და სადაც 50-იან წლებში ადამიანის ჩონჩხები და თავის ქალები იპოვეს.

18 მარტს ახალგაზრდების ჯგუფმა ჟურნალისტ ლაშა ნადარეიშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო ამ ხაკითხის ფუნდამენტური შესწავლა.

ვთხოვთ ყველას, ვისაც კი რაიმე ინფორმაცია გააჩნია აღნიშნულ გვირაბთან დაკავშირებით, მიმართოს ჩვენი გაზეთის რედაქციას.

მოდით, საბოლოოდ დავადგინოთ: არსებობდა თუ არა ეს ლეგენდარული გვირაბი?

მკურნალობა იმედით...

ანთებული სანთლებით ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ დერეფანში და მაინც თითოეული მარტო იყო საკუთარ თავთან; თითოეული მხოლოდ ერთსა და მისთვის ყველაზე სანუკვარს გარინდებული შესთხოვდა უფალს, — მასზეც გარდმოვლენილიყო დედობის მადლი, ეჩუქებინა შვილი წლობით ამაოდ მომლოდინესათვის. მამა ტარიელი კი ლოცვით შემოდიოდა პალატებში, აკურთხებდა იოსებ ორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ყოველ კუთხე-კუნჭულს.

— ძნელია ჩასწვდე ბუნების ყველა გამოცანას, — გვითხრა ინსტიტუტის მთავარმა ექიმმა თამაზ კერესელიძემ. — ზოგჯერ უშვილო ქალისათვის მკურნალობა უშედეგოდ მთავრდება. იგი იძულებულია ბავშვი იშვილოს, მის მიმართ მერე ნამდვილი დედობრივი გრძნობაც უჩნდება. დაკვირვებით შემჩნეულია, რომ შემდეგ ამ ქალების თითქმის 60 პროცენტი ორსულდება. როგორც ჩანს, ზოგჯერ მედიცინაზე ძლიერია ფსიქოლოგიური ფაქტორი, დღევანდელი კურთხევაც სწორედ ამ ფაქტორით, რწმენით მკურნალობაა. უშვილო ქალს, ხომ პირველ რიგში, სწორედ უფლისა სწამს.

უკვე ორი წელია ეს ინსტიტუტი, რომელიც თავისი პროფილით ერთადერთია ევროპაში, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სათანამშრომლო ოფიციალურ ცენტრად ითვლება. აქ კომპლექსურად გამოიკვლევა მეუღლეთა უშვილობის მიზეზები (შემთხვევათა 55 პროცენტი სწორედ მამაკაცთა უნაყოფობითაა განპირობებული). აქაურ პაციენტთა საშუალოდ 60 პროცენტისათვის მკურნალობა სასიკეთოდ მთავრდება და ყოველწლიურად რესპუბლიკის ახალშობილთა რიცხვს ამ მკურნალობის წყალობით საშუალოდ ოთხასამდე ახალი სიცოცხლე ემატება, ექიმები თვლიან, რომ ამ რაოდენობის კიდევ უფრო გაზრდა შეიძლება, საამისოდ კი საჭიროა გამოიყენონ მკურნალობის უახლესი, ყველაზე ეფექტური საშუალებანი. სამწუხაროდ ინსტიტუტის შენობა ძოუნერხებელია ახალი აპარატურით აღჭურვილი სხვადასხვა განყოფილებების გახსნისათვის.

მაგრამ ეს პრობლემა მალე გადაწყდება, თუ ფედერაციული გერმანიის ფირმა „იუნიმედი“ საკუთარი ხარჯებით თბილისის ზღვაზე ახალ რეპროდუქციის ცენტრს მართლაც ააშენებს. საამისოდ კი ფირმის მესვეურნი ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობისაგან მხოლოდ მათ მიერ დაწყებული მშენებლობის შეუჩერებლობის გარანტიას მოითხოვენ.

ინსტიტუტი უცხოეთის კიდევ არა ერთ ფირმასთან თანამშრომლობს. ისინი აქ აპარატურასა და მედიკამენტებს აგზავნიან. ოქტომბრის ბოლოს სწორედ თბილისში ჩატარდება მსოფლიო კონგრესი აბორტთან ბრძოლის საკითხებზე.

იმ დღეს კი, სრულიად საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების „სავანეთას“ (პრეზიდენტი ფარნაოზ მგელაძე) ინიციატივით ინსტიტუტი ღვთისაგანაც იკურთხა. რწმენა და იმედი შეემატათ მშობლების მომლოდინეთ. დაე, არც გამტყუნებოდეთ ეს იმედი.

მაია თუნგია

საქართველოს დამფუძნებელი კრება და ბოლშევიკები

„14, 15 და 16 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებია!“ — იუწყებოდნენ დამოუკიდებელი რესპუბლიკის გაზეთები 1919 წლის დასაწყისიდანვე.

„მოქალაქენო! ამ დღეს უნდა გადაწყდეს საქართველოს ბედი!

თქვენ თვითონ უნდა გამოსჭედოთ იგი!

საქართველოს ერთი დიდი მტერთაგანი იქნება არჩევნებისადმი გულცივობა!... არჩევნების დღეებში არც ერთი არ დარჩეთ შინ! ყველამ მიაშურეთ საარჩევნო ყუთებს! არც ერთმა არ დაჰკარგოთ ხმა!“ — მოუწოდებდა ქართული პრესა.

მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტია დამფუძნებელი კრების დებულება შეიმუშავა, საქართველოში ფართო სამზადისი გაიშალა საყოველთაო არჩევნების გზით ახალი ეროვნული საკრებულოს მოსაწვევად. საზოგადოებამ ცხოველი ინტერესი გამოავლინა დამფუძნებელი კრების მიძართ, რომლის აძოცანას ქართული სახელმწიფოებრიობის მტკიცე ნიადაგზე დამკვიდრება და მომავლის პროგრამის შემუშავება შეადგენდა. **„ხალხი ძლიერ აღფრთოვანებით ხვდება არჩევნების სამზადისს, ეტყობა, რომ... ძლიერია ინტერესი დამფუძნებელი კრების არჩევნებისადმი“**, — წერდა გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.

გააქტიურდნენ პოლიტიკური პარტიები, ორგანიზაციები და საზოგადოებები, რომლებიც ფართოდ ჩაებნენ საარჩევნო კამპანიაში. არჩევნები პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული სისტემით ტარდებოდა. ასარჩევი იყო 130 დეპუტატი. დემოკრატიული საარჩევნო დებულება საშუალებას იძლეოდა საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პარტიებს, ორგანიზაციებს, ჯგუფებსა და კავშირებს წამოეყენებინათ თავიანთი კანდიდატებიც თუნდაც ყველა ადგილზე. თითოეული პარტიის კანდიდატთა სიას თავისი ნომერი ჰქონდა მიკუთვნებული.

დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობა ძიიღო (თავისი კანდიდატები წარადგინა) 15-მა პარტიამ, კავშირმა და სხვა გაერთიანებამ. კანდიდატთა საარჩევნო სიები წარმოდგენილი იყო შემდეგი ნუმერაციით: № 1 — საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, № 2 — საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, № 3 — საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, № 4 — დაშნაკცუთიუნი, № 5 — საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტია, № 6 — მუსულმანთა ეროვნული საბჭო, № 7 — საქართველოს რადიკალურ-დემოკრატების პარტია, № 8 საქართველოს ეროვნული პარტია, № 9 — მემარცხენე სოციალ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტია, № 10 — შოთა რუსთაველის ჯგუფი, № 11 — დამოუკიდებელი (უპარტიო) კავშირი, № 12 — ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებ მუსულმანთა ჯგუფი, № 13 — რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, № 14 — ესთეტიური ლიგა პატრიოტებისა და № 15 — საქართველოს ელინთა დემოკრატიული ჯგუფი.

ქართულ, რუსულ, თათრულ და სომხურ ენებზე შედგენილი თხუთმეტი სია გამოქვეყნდა პრესაში და არჩევნებამდე ორი კვირით ადრე გამოიკრა დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბიუროში, რომელიც მოთავსებული იყო გოლოვინის პროსპექტზე, მორიმანოვის სახლში.

როგორც ვხედავთ, დეპუტატობის კანდიდატთა პოლიტიკური და ეროვნული სპექტრი მართლაც რომ ფართოა. აქ არის საქართველოში იმხანად მოქმედი თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად გავლენიანი ძალა. არ ჩანან მხოლოდ ბოლშევიკები.

საქართველოს ბოლშევიკებს დამფუძნებელი კრების არჩევნების მომენტში თავიანთი დამოუკიდებელი პარტია არ გააჩნდათ, მაგრამ ჰქონდათ რამდენიმე საქალაქო და საოლქო ორგანიზაცია, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ რუსეთის კომუნისტურ პარტიაში (ბოლშევიკებისა). აქვე უნდა ითქვას, რომ ორგანიზაციულ მხარეს ბოლშევიკებისათვის არ შეუშლია ხელი მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში. საქართველოს ბოლშევიკებმა დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობაზე უარი თქვეს პრინციპული მოსაზრებების გამო. საქმე ისაა, რომ ისინი არ სცნობდნენ დამოუკიდებელ საქართველოს და არც მისი მთავრობის მიერ მოწყობილი არჩევნები მიაჩნდათ კანონიერად. ამიტომ ცენტრის მითითების შესაბამისად ბოლშევიკებმა არჩევნების ჩაშლა გადაწყვიტეს და ბოიკოტის ტაქტიკას მიმართეს.

ბოიკოტი მათი ნაცადი ტაქტიკა იყო ჯერ კიდევ პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროიდან. მართალია, შემდეგ ლენინმა აღიარა, რომ ეს შეცდომა იყო, მაგრამ ბოიკოტის იდეა ბოლშევიკებს არ დავიწყნიათ.

როგორც ითქვა, 1919 წლისათვის საქართველოს ბოლშევიკებს ცალკე პარტია არ ჰქონიათ. აქაური ბოლშევიკური ორგანიზაციები ექვემდებარებოდნენ პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტს, ეს უკანასკნელი კი რკ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს. სამხარეო კომიტეტს ბინა იმ დროისთვის თბილისში ედო და თვით კომიტეტში წამყვან როლს ქართველი ბოლშევიკები ასრულებდნენ. მათთვის ძიღებელი აღმოჩნდა საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ. ბოლშევიკები გადაწყვიტეს, **„ჩვენ ვიბოიკოტოთ ეს ბურჟუაზიული ფარისევლური ინსტიტუტი, ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთო, იხსენ საქართველო...

ეს ეზო და ეს კედლები შვიდ ათეულ წელზე მეტია უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონის კურთხევით სუნთქავენ. ჩვენი უნივერსიტეტი მრავლის მნახველი და მრავლის მოთავეა...

გუშინაც მან უმასპინძლა კაცთმოყვარული, მშვიდობიანი მისიით მოსულ ათასობით ქართველს. მასპინძლის სახელით უნივერსიტეტის პრორექტორი, ბატონი ვახტანგ გოგუაძე შეეგება საქართველოს მხედრიონის ინიციატივით შეკრებილ ხალხს.

მამა ზაქარიამ აკურთხა ჩვენი ბობოქარი ცხოვრების ერთ-ერთი ნათელი — ურთიერთმიტევებისა და ურთიერთშენდობის დღე.

ყველამ ერთად ვთქვით — მამაო ჩვენო..

— ნუ განიკითხავ!

— გიყვარდეს მოყვასი შენი!

— არა კაც ჰკლა!

— გიყვარდეს ღმერთი შენი!

თავისუფლებისაკენ ძლიერი ნაბიჯებით მიმავალ საქართველოს გულისფიცარზე უნდა ეწეროს ღმერთის ყოველი შეგონება. ქართველის სისხლით გასვრილი ქართველის ხელი უპირველესი დაბრკოლებაა ჩვენს გზაზე — დღესაც და მომავალშიც. გვიყვარდეს ერთმანეთი და ერთად ვიყოთ, შეგვეძლოს ერთმანეთის პატიება და შენდობა, მთავარ დასაძლევს ჩვენი შეკრული მუშტი თუ მოერევა — ამას ქადაგებდნენ გუშინ სხვადასხვა პარტიებისა და საზოგადოებების წარმომადგენლები. საქართველოს მხედრიონის სახელით ნუკრი ცისკაძემ მშვიდობიანი სვლა გამოაცხადა დედაქალაქის მთავარი ქუჩებით უნივერსიტეტიდან სიონამდე.

მრავალნი გამოვიდნენ სიტყვით: ნოდარ ნათაძე, სოლომონ ხუციშვილი, დავით ტურაშვილი, შაქრო ჭითანავა... საქართველოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელი... და დაიძრა სიონისაკენ „მხედრიონი“.

ღმერთო, იხსენ საქართველო...

კურთხეულ იქნას ნება შენი, ქართველობავ!





ბადრი ვადაჭკორიას ფოტოები.

საქართველოს სამომავლო გზის ძიებაში

დღეს, თუ არა ხვალ, როდესაც მსოფლიო რუკა, ვინ იცის, რა სახით უნდა შეშუშავდეს, ქართველი ერი ვალდებულია ჯეროვნად მოძზადებული შეხვდეს მსოფლიო ქარიშხლის მიერ მოსალოდნელ ცვალებადობას. ამ მხრივ საფიქრალი და საზრუნავი მართლაც რომ მრავლად გვაქვს.

თითქმის შევეჩვიეთ ისეთ ვითარებას, როცა ჩვენი ცხოვრების ყოველი დღე აღსავსეა დრამატიზმით, ფასეულობათა გადაფასების, მუდმივი განახლების საზრუნავით. საზოგადოებრიობა უკეთესი გზის ძიებაშია. ერთ აზრს მეორე ცვლის, იბადება მესამეც, მეოთხეც და ა. შ. აქ უჩვეულო დღევანდელობისთვის, რა თქმა უნდა, არაფერია, რომ არა ერთი მეტად დამაფიქრებელი ტენდენცია — კვლავ მოდურ თვითმიზნად გვექცა, სხვათა გამოცდილებათა გაზიარების ნაცვლად, რაც უწინარესად კრიტიკულ დამოკიდებულებას თხოულობს, ბრმა, ანგარიშმიუცემელი წაბაძვის წადილი. ამ შემთხვევაში ლაპარაკია ჩვენთვის დემოკრატიის იმ ფორმების „სესხებაზე“, როგორიცა აქვთ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს: იაპონიას, გერმანიას, საფრანგეთს, ინგლისს და ა. შ. არადა ხომ რეალობაა ისიც, რომ ამ სახელმწიფოებმა, ყველა სხვა პირობებთან ერთად, იმითაც შეძლეს მიეღწიათ ასეთ დიდ წარმატებებისათვის, რომ თავიანთი განვითარების ეროვნული გზა არ დაუგდიათ.

ის რომ დემოკრატიის ანბანს ქართველი ხალხი სადღეისოდ ვინ იცის უკვე მერამდენედ, ამჯერად კი გარდაქმნის ხანაში ხელახლა სწავლობს, როდი ნიშნავს რომ დემოკრატიულ საწყისებზე სახელმწიფო არასდროს გვქონია. თუ ჩვენი შორეული წარსულიდან სათანადო მაგალითი არ გვახსენდება, იქნებ იმ გარემოებისთვის მაინც მიგვექცია ყურადღება, რომ ჯერ კიდევ ამ 70 წლის წინ მსოფლიო ისტორიაში საქართველო იყო პირველი, რომელიც დაადგა დემოკრატიული სოციალიზმის გზას.

თუ არა ამ გატანჯულ ქვეყანაში მცხოვრებს, მისი მდიდარი, მრავალსაუკუნოვანი ისტორიით გაზრდილთ, მაინც რა შეიძლება გვქონდეს „სასესხებელი“ სხვისგან. ამას ვამბობ და უნებლიედ მახსენდება მუხრან მაჭავარიანის სიტყვები: „მე — პატრონმა, მე — პატრონმა ამისთანა ზღვის, მე — პატრონმა, მე — პატრონმა ამისთანა ცის, თუ ღმერთი გწამს, თუ კაცი ხარ, სხვას მივბაძო?! ვის?! რა გინდა რომ აქ არ იყოს, ენა იტყვის რას! სიტყვა გინდა?! მარტო წვიმას აქვს სახელი ცხრა. მე შენ გეტყვი არ გეყოფა სიტყვის მარაგი... არა! სხვისი მისაბაძი რა მჭირს, თვარა კი!“

სხვის მიბაძვას იქნებ მართლაც ჯობდეს ჩვენს ისტორიაში უფრო ღრმად ჩაგვეხედა. რადგან ქართველები ჩვენსავე წვენში ვიხარშებით, ჩვენი უძველესი კულტურის არა ერთ არსებით საკითხს არათუ უცხოელთათვის, ზოგჯერ თავად ჩვენთვისაც დავიწყებულს ვხდით.

ჩვენი ისტორიიდან მაგალითისთვის გავიხსენებდი ვითარებას, რომელიც იყო შექმნილი XII საუკუნის დასასრულს საქართველოში. ეს იყო ჭეშმარიტად დუღილის ხანა, ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდარ სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებს განეპირობებინა მრავალი პოლიტიკური მოძღვრების წარმოშობა, რომლებიც გამოხატავდნენ საზოგადოებაში მებრძოლ კლასთა ინტერესებს და მისწრაფებებს. ქვეყნის პოლიტიკურ მოწყობასთან დაკავშირებით თამარის მეფობის დროს საგულისხმო შემთხვევას ჰქონდა ადგილი მის მეჭურჭლეთუხუცეს ყუთლუ-არსლანის მეთაურობით გამოსვლასთან დაკავშირებით. იმდროინდელი ისტორიკოსების გადმოცემით, შეთქმულთა მოთხოვნებში საკმარისი გარკვეულობით წამოყენებული იყო საქართველოს სახელმწიფოს მმართველობის ფორმის — თვითმპყრობელობის შეცვლის აუცილებლობა კონსტიტუციური მონარქიით. არის აზრი, რომ ეს იყო ანალოგიური ოდნავ მოგვიანებით ინგლისელი თავადაზნაურების გამოსვლის, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში პარლამენტის მსგავსი პოლიტიკური დაწესებულებების დაარსებას. კონსტიტუციონალური მოძრაობა დამარცხდა. თამარ მეფემ საკვირველი დიპლომატიური უნარი გამოიჩინა მისი მშვიდობიან ფორმებში ჩასაჭრობად. მიუხედავად ამისა, ამ გამოსვლას უნაყოფოდ მაინც არ ჩაუვლია. ეს იქიდანაც სჩანს, რომ შეთქმულებაზე გამარჯვების მიუხედავად, თამარი იძულებული გამხდარა მნიშვნელოვან დათმობებზე წასულიყო. ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ მაღალი თანამდებობის პირთა დანიშვნის საქმეში, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო უწყებებში თავისებური არჩევითი პრინციპი დაკანონებულა, რომელსაც შემდეგ მეფე ამტკიცებდა. ყველა ეს ნიშანი სულ მალე იტყოდა მსოფლიო ისტორიაში კიდევ უფრო ახალსა და მნიშვნელოვან სიტყვას, რომ ფეოდალური საქართველოს ნორმალური, იმთავითვე აღებული გეზით განვითარება არ შეფერხებულიყო და დიდი ხნით არ გადადებულიყო.

კონსტიტუციონალისტების მოძრაობას 1184-86 წლთა მანძილზე ჰქონდა ადგილი. მაშასადამე, იგი რამდენიმე წლით წინ უსწრებს თვით ინგლისის დიდ ქარტიასაც და ეს გარემოება მნიშვნელოვანი დამახასიათებელია ქართული კულტურისა და ცივილიზაციისა წარსულში.

XII საუკუნის 80-იანი წლების საქართველოში ეს უდიდესი პროგრესული მნიშვნელობის მოვლენა იმდროინდელი მსოფლიოსათვის ერთობ უჩვეულოსა და სრულიად ახალი ეტაპის დამწყებს წარმოადგენდა. სახელმწიფო მესაკუთეთა აბსოლუტისტურ თეორიას უპირისპირდებოდა ახალი პოლიტიკური მოძღვრება, რომელიც სახელმწიფოს დასასრულს აძლევდა.

ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ფაქტის სახით ფრიად ღირსშესანიშნავ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ამ საკითხის სწორად გადაწყვეტაზე არსებითად დამოკიდებულია საქართველოს და არა მარტო საქართველოს ფეოდალური განვითარების დონის სწორად შეცნობაც. ვინ იცის, იქნებ ამ მხრივ დასავლეთ სამყაროსათვის აღმოსავლეთის კულტურის კიდევ ერთი დამარხული საუნჯე გახდეს ცნობილი.

ჩვენი მკვლევარები სავსებით მართალი იყვნენ, როცა ამ მოძრაობას აგრე დიდ ყურადღებას აქცევდნენ და მას საქართველოს პოლიტიკური აზროვნების განვითარების გვირგვინად მიიჩნევდნენ.

ივანე ჯავახიშვილმა, ამ გასაოცარი და ფრიად საგულისხმო მოძრაობისა და პროგრამის სადაურობის კვლევისას, ასეთ გზად მიიჩნია ის სულისკვეთება, რომელიც სუფევდა თვით ქართული სოციალური ბრძოლის განვითარებაში.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ქართველი ერი ერთ-ერთი უძველესთაგანია თანამედროვე მსოფლიოს იმ ხალხებიდან, რომელმაც ადრევე შექმნა თავისი სახელმწიფოებრივი სტრუქტურა და ერადაც ადრევე ჩამოყალიბდა, მისი ძველი კულტურა რიგ შემთხვევაში ტონის მომცემიც ყოფილა იმდროინდელი ცივილიზაციებისა. მაგრამ ისტორიულმა ძნელბედობამ, რასაც პერმანენტულად განიცდიდა საქართველო, შემეცნების ეს შემუშავებული აზრი ქვეყნის დამოუკიდებლობის დროს ვერ განავითარა. უფრო მეტიც, საქართველომ სახელმწიფოებრიობის დაკარგვით თვით ეს ცოდნაც დაკარგა. ჩვენი ისტორიის „თეთრი ლაქები“ განსაკუთრებული სიმწვავით XIX საუკუნემ იგრძნო, ამ მხრივ, არანაკლებ სიძნელეებს ვაწყდებით დღესაც.

სწორედ ამიტომ, დღეს უფრო, ვიდრე სხვა დროს ვგრძნობთ საჭიროებას დავუკვირდეთ ჩვენი წარსულის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებას, ვისწავლოთ და აღვადგინოთ ჩვენი უფლებათა და ჩვეულებათა უსაჭიროესი ტერმინოლოგია, შინაური ცხოვრების მოსაწყობად. ამიტომ სამართლიანად გვესახება აზრი, რომ საქართველომ უნდა შექმნას დემოკრატიის თავისი ტიპი, მისი კონკრეტული ფორმებით, თორემ სტაბილური საზოგადოება ვერ იქნება. ასეთ შემთხვევაში „სესხება“ არ გამოდგება, მან თავისი ტიპის დემოკრატიას უნდა მიაგნოს, რომელიც საკუთარ ნიადაგზე იშვა, როგორც საკუთარი — პოლიტიკური კულტურის განვითარების შედეგი.

გიორგი ჭედლიშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული კულტურის ისტორიის კათედრის დოცენტი.

თვითმხილველის ჩვენება

რეპეტიცია?

ცნობილი რეჟისორი სტანისლავ გოვორუხინი დამნაშავეობაზე ილებს ფილმს. ბაქოს დარბევის ამბავი რომ შეიტყო, ოპერატორთან ერთად გაფრინდა იქ.

ბაქოდან განადგურებული, ნანახით გაოგნებული დაბრუნდი. უმალ საწერ მაგიდას მივუჯექი — ის საშინელი შთაბეჭდილებები ჩემში არ უნდა დარჩენილიყო.

თავიდან ყველაზე უფრო სამწუხარო ფაქტის კონსტატირება მომიწევს. ჯარი მაშინ შევიდა ბაქოში, როცა სომხები იქ ალარ იყვნენ, ცოცხლები გაიქცნენ, მკვდრები მიწაში ჩაფლეს. დასაცავი ალარავინ იყო.

მე ველაპარაკე სამხედროებს. სპეციალურად გაწვრთნილი ჯარისკაცების ერთი ბატალიონიც საკმარისი ყოფილა დამარბეველთა დასაშოშმინებლად და სამუდამოდ ბონს მოსაყვანად. რბევის დღეებში კი ქალაქში შინაგანი ჯარების თერთმეტნახევარათასიანი შემადგენლობა იმყოფებოდა. გენერლების მტკიცებით, რომ ჯარები ყაზარმებში იყვნენ ბლოკირებული, სასაციოლოდ ეღირს! ყაზარმებიდან გამოსვლა რომ დასჭირდათ (20 იანვარს, გამთენიისას), უმალ გამოვიდნენ, თანაც ძალზე უბრალოდ: ტანკებით გადაანგრიეს ფარლალა ღობე და ავტომობილების სადგომის გავლით — პირდაპირ მანქანებს გადაუარეს — გაიჭრნენ ქუჩებში.

კიდევ ერთი უსიამოვნო ასპექტი. დარბევის ამბავი წინასწარ იყო ცნობილი, მაგრამ ყველა დუმდა. დუმდნენ სახალხო დეპუტატები აზერბაიჯანიდან, აზერბაიჯანის ინტელიგენცია, კომპეტენტური ორგანოები, რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელისუფლება. არავის უყვირია:

— ხალხნო! გამოიხედეთ აქეთ, ჩვენი პლანეტის ამ პატარა წერტილისკენ, აქ დანაშაული მზადდება! ახლოდება გენოციდი — უმწეო ადამიანებისთვის საშინელი ანგარიშსწორება!

რატომ, რატომ დუმდა აზერბაიჯანის ინტელიგენცია, როცა მთელი ხმით ყვირილი იყო საჭირო?! შეეშინდა? ვისი? გასაგებია ვისაც, იმათი, ვისაც, ღმერთმა ნუ ქნას და მოხდეს, ჩვენც შეგვეშინდება — ფაშისტების! მოდით, საგნებს და მოვლენებს თავიანთი სახელები დავარქვათ. იმათ, ვინც ერთი ეროვნების ადამიანებს მეორე ეროვნების ადამიანების დარბევისაკენ მოუწოდებენ, ფაშისტები ჰქვიათ და სხვა არაფერი.

19-20 იანვრის ღამეს ქალაქში მაინც შევიდა ჯარი. მაგრამ საბჭოთა არმია საბჭოთა ქალაქში შევიდა... როგორც ოკუპანტების არმია: ღამით, ტანკებითა და ჯავშანმანქანებით, გზას რომ ცეცხლითა და მახვილით იკვალავდა. იმ ღამეს საბრძოლო მასალის დანახარჯმა სამხედრო კომენდანტის ცნობით 60 ათასი ვაზნა შეადგინა.

ათი წლის გოგონას ჩვენება:

— მე აივანზე გავედი და მოედანზე ტანკები დავინახე. მათ წინ ხელჩაკიდებული ადამიანები იდგნენ... უცბად ტანკები ადამიანებისკენ დაიძრნენ.

მე ვნახე ტყვიების ჯერით დაცხრილული აივნები და სახლები. კი მაგრამ როგორ? იქ ხომ ადამიანები იყვნენ, იქნებ სწორედ ის ადამიანები, სომხები რომ გადაარჩინეს (ასეთები ბევრნი იყვნენ ბაქოში)?

ბევრი საკუთარ ბინებში, სახლების აივნებზე დაიღუპა. სამწუხარო შედეგი ცნობილია: 106 მოკლული, უთვალავი დაჭრილი. მსხვერპლი ნაკლები იქნებოდა, ადამიანები დარწმუნებულნი რომ არ ყოფილიყვნენ, რომ არმია, საკუთარი არმია საკუთარ მოქალაქეებს არ ესვრის.

სუმგაითის გზაზე, მსუბუქ ავტომანქანაში, გზისპირას რომ იდგა და ტანკების კოლონას ატარებდა, მეცნიერებათა აკადემიის სამი მეცნიერი, მათ შორის ერთი ქალი, იჯდა. უცბად ერთი ტანკი გამოეყო კოლონას, მუხლუხოებს ხრჭიალით გადაუარა მანქანას და მისი ყველა მგზავრი გასრისა. კოლონა არ შეჩერებულა — ქალაქში დაბანაკებული მტრის გასანადგურებლად გაემართა.

სამი პროფესორი ქალაქის ცენტრში დაკრძალეს, სკვერში, მალალ პოსტამენტზე მდგარი კიროვის ბრინჯაოს ფიგურის უკან. აქ ბევრზე ბევრი საფლავია: ქალების, ბავშვების... აქ არის მეშვიდეკლასელი გოგონას ლარისა მამედოვას უსურათო საფლავიც. არავინ იყო სურათის დამყენებელი (ბავშვის მამა იმავე ღამით მძიმედ დაიჭრა). საფლავზე მოსწავლის ფორმა და წიგნების ზურგჩანთაა. აი, კიდევ ერთი უსურათო საფლავი, დაფაზე წარწერაა: „ეფიმოვი". უსინათლო იყო, ხიშტებზე ააგეს". ერთი საფლავის სურათზე ახალდაქორწინებულები ილხამ და ლარისა ალახვერდიევები გადაეხვევ-ან ერთმანეთს. ილხამი მოკლეს; ლარისამ თავი მოიკლა — მოიწამლა.

2 თებერვალს (!!) ჩვენს თვალწინ ესროლეს პატარა ბიჭს, ექიმები მართალია, ისევ იბრძვიან მისი სიცოცხლისათვის, მაგრამ შანსი ნაკლებია. ეს ამბავი შემდეგნაირად მოხდა. თეთრმა ვოლგამ ქუჩაში მიმავალ ერთ-ერთ ჯარისკაცს გვერდი გაჰკრა და არ გაჩერა. ცვლის მეთაურმა ლეიტენანტმა ახმედშინმა მიმავალ მანქანას ესროლა, მაგრამ ლეიტენანტი „ავორორშილოვკი სტრელოკი" აღმოჩნდა და სამგზავრო ავტობუსს მოარტყა. უკანა მინასთან ზურგით იჯდა 15 წლის ყრუ-მუნჯი ბიჭი, მას ტყვია მარჯვენა ბეჭში მოხვდა.

ბიჭი საავადმყოფოში მიიყვანეს და მეც პირველად ვნახე ახალი ჭრილობა. ერთი შეხედვით ჭრილობა თითქოს საშიში არ ჩანდა, მაგრამ აი, მოიტანეს ჯერ ისევ სველი რენტგენის სურათი: სხეულის სიღრმეში ლითონის ორი მსხვილი ჩრდილი, კიდევ ორი ტყვია გამოჩნდა: ორი ტყვია ერთადერთ ნატყვიარში?..

ექიმი იდაიატ ისაევი, სამხედრო საველე ქირურგიის სპეციალისტი, ვიეტნამის ომის მონაწილე:

— ასეთი ტყვიები მრავლად ამოვიღეთ გვამებიდან. აი ერთი მათგანი — თქვენ ხედავთ სხეულიდან ამოღებულ დაშტუქნილ ბრინჯაოს გარსს (რომელმაც თავისთავადაც უამრავი უბედურება მოახდინა) და ლითონის ორ ღერძს. და ეს ყველაფერი, გითვალისწინეთ, ერთადერთ ნატყვიარს მოსდევს...

გონივრულად ზღვრულ ზომებსა (სახელმწიფო თითქოსდა იმისთვის რომ იღებს, რათა სამოქალაქო კონფლიქტი შეაჩეროს) **და დამსჯელ ექსპედიციას** შორის უდიდესი დისტანციაა.

თუ ჯარი ქალაქში იმისთვის არ შესულა, რომ ხალხი დაეცვა, მაშ რისთვისღა შედიოდა? ბაქოს ორმა მილიონმა მოსახლეობამ ეს ასე გაიგო: ტანკები ქალაქში იმისთვის შევიდნენ, რომ დაესაჯათ ხალხი, რომელიც სუვერენიტეტს ითხოვდა. და თანაც სამაგალითოდ დაესაჯა, რომ სხვა რესპუბლიკებს ველარ გაებედათ მსგავსი რამ. თუ ეს ასეა, მაშინ სამხედრო ექსპედიციამ ბაქოში დამაჯერებლად ცხადყო, რომ იმპერიას დღესაც შეუძლია ხიშტებს დაეყრდნოს.

მაგრამ დიდხანს იქნება ასე? ჩვენს გენერლებს ალბათ, ასე ჰგონიათ: რამდენიც საჭიროა, იმდენხანს იქნება! ვფიქრობ, ისინი ცდებიან, ნებისმიერი იმ ტიპის არმია ბაქოში რომ დგას, ნელ-ნელა ბრძოლისუუნარო ხდება — არმიაში საბრძოლო სულზე ტყუილად როდი ლაპარაკობენ.

ჩემს წინ მილიციის ერთ-ერთი განყოფილების შემთხვევათა ჟურნალი დევს. ვფურცლავ: ჯარისკაცებმა გააჩერეს გამვლელი, გაჩხრიკეს, წაართვეს ფული; ჯარისკაცებმა ტანკით შეანგრიეს მაღაზიის კარი, შევიდნენ შიგნით, და ალკურდეს; ჯარისკაცებმა გამვლელს ქუდი მოხადეს; ჯარისკაცები შევიდნენ ბინაში, ეძებდნენ ძვირფას ნივთებს, რომ ვერაფერი იპოვეს, დიასახლისს ქორწინების ბეჭედი წააძვრეს თითზე...

დროა, შედეგები შევაჯამოთ და დასკვნები გამოვიტანოთ.

თუ ბაქოში მოწყობილი სამხედრო აქცია ჩვენი საერთო თავაზეებულობის, მეთაურების არაკომპეტენტურობის, ანარქიისა და პროფესიონალიზმის უქონლობის შედეგია, მაშინ ეს... მაშინ ეს საშინელებაა. შეუძლია კი ასეთ არმიას წინ აღუდგეს სერიოზულ, საბრძოლოდ გაწვრთნილ მოწინააღმდეგეს? და თუ არ შეუძლია, მაშინ რატომ ვხარჯავთ უდიდეს სახსრებს მათ შენახვაზე?

მაგრამ, თუ მაინც ყველაფერი სწორედ ისე გაკეთდა, **როგორც** ჩაფიქრებული იყო, თუ ბაქოს აქცია ბრწყინვალე საერთო-სამხედრო ოპერაციის მაგალითია?

მაშინ ეს კატასტროფაა.

ბრძანებულებას ქვეყნის პრეზიდენტმა მოაწერა ხელი. აქედან მავანი და მავანი ასეთი დასკვნის გამოტანასაც მოისურვებს: ეს მან, პრეზიდენტმა, უბრძანა არავინ დაენდოთ, ადამიანები ტანკებით გადაეთელათ, „სასწრაფო დახმარების" მანქანების, სახლების, ფანჯრების, საშობიაროს სახლისთვის ესროლათ!

არ მჯერა! გასული წლის მაისში სახალხო დეპუტატებთან ერთად ფიქრით მეც ვუპერდი მხარს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ მის არჩევას. და დღემდე არ ვნანობ ჩემს არჩევანს. დარწმუნებული ვარ, იღებდა რა ბაქოში ჯარების შეყვანის გადაწყვეტილებას, მას სწორედ გონივრულად ზღვრული ზომები ჰქონდა მხედველობაში. და რაც მთავარია, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა რანაირ არმიას, რანაირ გენერლებს აძლევდა ბრძანებას...

რა თქმა უნდა, ეს ჩემი პირადი მოსაზრებებია, მაგრამ.. როცა გორბაჩოვის ინიციატივით იყო მიღებული არმიის ცალმხრივი შემცირების გადაწყვეტილება, როცა ავღანეთში დაწყებული ომი დამთავრდა, როცა ჯერი მიდგა აღმოსავლეთ ევროპიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანაზე, როცა დღის წესრიგში გენერალიტეტის მკვეთრი შემცირების საკითხი დადგა, მე არც თუ ხუმრობით შევშინდი ჩემი პრეზიდენტის გამო.

იქნებ ბაქო მხოლოდ რეპეტიციაა?

სტანისლავ გოვორუხინი,
კინორეჟისორი,
„მოსკოვსკიე ნოვოსტი" № 7,

გონებადაბნელებულ ქართველს

ღვთის გაჩენილი
ღვთის გაჩენილს
როგორ იმეტებ?
დაცლილ მამულში,
დავიჯერო,
ვეღარ ეტევით?!
სად არის შენი ვაჟკაცობა,
შენი სიკეთე?
„მტერი ხარ"! —
გეტყვის წინაპარი
რკინის მკვნეტელი.

ქართველი ქართველს
არაფრისთვის
რომ ესვრი ტყვიას, —
თითქოს ზე იყოს,
ან დაშლილი
სახლის კედელი, —
კარგად გახსოვდეს:
საქართველოს
მოსისხლე გქვია!
„მტვერი ხარ!" —
გეტყვის წინაპარი
რკინის მკვნეტელი.

არც შენ დაგინდობს
საკუთარი
ფესვების რისხვა,
დაიქცევიან ცოდვიანი
კოშკის სვეტები...
იმ ქვეყანაშიც
დაწყევლილი იქნები ცისგან!
„გამშორდი"! —
გეტყვის წინაპარი
რკინის მკვნეტელი.

ვაჟა ხორნაული

ორი კანონი მკვლელობისათვის?

ყველანი ადამის მოდგმისანი ვართ

აფორიაქებული, ტკივილებისაგან დამძიმებული ცხოვრება გვერგუნა განგებამ. ნეტავ რა შევცოდეთ ასეთი! ყველა ბოროტმა ძალამ დრო იხელთა და ახლა წამოჰყო თავი, ზურგსუკან მოპარვითა თუ აშკარად გვიტევს სამტროდ. ჩვენც გონება აგვემღვრა, იმის ნაცვლად, რომ ერთ მუშტად შევიკრათ, განსაცდელს აღვუდგეთ წინ, ძველმა ავბედითმა სენმა —გათიშულობამ, შუღლმა წამოჰყო თავი — ერთმანეთს დავუპირისპირდით და რაც ყველაზე შემაძრწუნებელია—მოძმემ მოძმეზე აღმართია ხელი, ქართველი ქართველს კლავს! ხარობს მტერი, სიხლისაგან იცლება ერი...

ძმათა მკვლელობა უმეტესწილად ახალგაზრდობას შორის ხდება, ვისაც ასე სასოებით და რწმენით შევყურებთ, ვისგანაც მოველით თავისუფალი საქართველოს შენებას. ხალხი, საზოგადოება შეშფოთებული და დთრგუნულია გონებაამღვრეული თაობის მიერ თავს დამტყდარი უბედურებით და სასოწარკვეთილი ხსნას ეძებს. დროზე უნდა ვუშველოთ ერს, ერთად გამოვნახოთ მოქმედების ის სწორი, გონივრული გზა, რომელიც ბოროტი სულისაგან განწმენდს მოძმის მკვლელს, ერთად შეგვაკავშირებს და ნათელი მრწამსისაკენ გაგვიძღვება ყველას. ამაზე უნდა ვფიქრობდეთ ღღენიადაგ, ახლა აქეთკენ უნდა იყოს მიმართული თითოეული ჩვენგანის ძალისხმევა და გარჯა, მაგრამ ამ მიზანს უნდა მივაღწიოთ არა სისასტიკით, სისხლი სისხლის წილ მოწოდებით ანდა სხვა რომელიმე მოუფიქრებელი ნაბიჯით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ქართველი კაცის ბუნებისათვის დამახასიათებელი ქრისტიანული, კაცთმოყვარეობის მაღალზნეობრივი იდეალებისა და ტრადიციების ძლევამოსილებით, სიკეთით ბოროტი საწყისის დაძლევით. სხვა არჩევანი არ არის, კაცის კვლისათვის ისედაც ულმობელი განაჩენია დაწესებული და მეტი რაღა უნდა დავადგინოთ სასჯელად! მაგრამ აი, თავისი აზრით, ზოგმა მიაგნო თურმე უბედურებისაგან ხსნის სხვა საშუალებას და გვთავაზობენ — **მოძმის მკვლელი გამოვაცხადოთ ხალხის მოღალატედ და ეს დაკანონდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.** მინდა შევეკითხო ამ მოსაზრების ავტორებს, რომელთა კეთილშობილ ზრახვებსა და პატრიოტიზმში ეჭვი ოდნავაც არ მეპარება, კარგად და ღრმად გაიაზრეს შედეგი, რომელიც ასეთ წინადადებას უზიარებდნენ ხალხს, საზოგადოებას? ვიცი, რომ ეს სასოწარკვეთილი კაცის გულის ამოძახილია, მოძმისაგან მოძმის სიკვდილი კაენის ცოდვა, უმძიმესი დანაშაული და მართლაც ღალატია, მაგრამ განა ამგვარი გზით უნდა ვიხსნათ ერი განსაცდელისაგან — **ქართველებისათვის ცალკე კანონი შემოვიღოთ სახჯელად? ვინც სხვა ერის შვილს მოკლავს, იგი განსხვავებული წესით გაასამართლონ? იქნებ ვინმემ გვითხრას, რომელ ქვეყანაში და რომელ ხალხს აქვს შემოღებული ასეთი კანონი? არავის!** ყველაზე რეაქციულ და ბნელეთის მიმდევარ სახელმწიფოებშიც ვერ შეხვდებით ასეთ სამართალს, და ჩვენ, ქართველებმა, რომელთაც ოდითგანვე ცხოვრების გზას გვინათებს სიკეთის, კაცთმოყვარეობის ქრისტიანული რწმენა და სწორედ ამ იდეალმა მრავალგზის გვიხსნა და ღვთის კურთხეულ ქვეყნად ვართ ცნობილი — ეროვნების მიხედვით უნდა დავყოთ ადამიანები კაცის მკვლელობისათვის?

განა შეიძლება ქვეყანაში მკვლელობისათვის ორი კანონი არსებობდეს, ერთი შენისანისათვის და მეორე უცხოსათვის? რატომ არ ვუფიქრდებით იმას, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ წინადადებას?

„არა კაც კლა" — გვიქადაგა ტანჯულმა ქრისტემ და მას არ დაუყვია ადამიანები მოდგმის მიხედვით. ჩვენ ამ მოძღვრების ერთგული მიმდევრები ვართ. ცხადია, უნდა გვახსოვდეს კაენის ცოდვაც, **თანახმა ვარ, რომ ჩვენთვის, შინაგანად გამოვაცხადოთ მოღალატედ ის, ვინც ხელს აღმართავს მოძმეზე, მაგრამ ამგვარი დანაშაულისათვის სპეციალური კანონის მიღება არ იქნებოდა სწორი.** ახლა მეტისმეტად უჭირს საქართველოს, არ გვყავს შვილი დასაკარგავი, მაგრამ გონიერებას, წინაპართა წმინდა იდეალებს, ტრადიციებსაც ნუ დავივიწყებთ, რაც არ უნდა კეთილშობილ მიზნებს ვისახავდეთ ერის გადასარჩენად, ჯერ დავფიქრდეთ, მრავალგზის ავწონ-დავწონოთ, გასაკეთებელის შედეგი ნათლად წარმოვიდგინოთ და ბოლოს ტაძრისაკენ მიმავალი სწორი გზა შევარჩიოთ.

არჩილ ციცქიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლამბადა“— გმდნიერება და ტკივილი...

1989 წელს მსოფლიოში უდიდეს წარმატებას მიაღწია ინტერნაციონალური კოლექტივის მიერ გამოცემულმა პირველმა გრამფირფიტამ „უორლდ ბიტმა“. ლაპარაკია „კაომას“ სახელწოდებით ცნობილ კოლექტივზე, რომელსაც უკანასკნელ პერიოდში ქართველი მსმენელიც გაეცნო. ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს, ახლახანს გამოქვეყნდა გაზეთ „იუნგე ველტის“ (გდრ) ფურცლებზე. შეკითხვებზე პასუხობდა ანსამბლის ბას-გიტარისტი ჩიკო.

— გასული წლის 21 ივნისს, პარიზში თქვენი გასტროლების დროს მუსიკის — მოყვარულებმა აღმოაჩინეს ე. წ. „ფენომენი ლამბადა“. რა მოხდა პარიზში?

— ეიფელის კოშკის წინ ასი ათასი მაყურებელი გვესწრებოდა. ეს იყო წარმოუდგენელი და დაუვიწყარი დღე. მაყურებლებს რაღაცამ გადაუარა. საფრანგეთის ჰიტ-პარადში ორი კვირის მანძილზე პირველ ადგილზე ვიყავით. შემდეგ წარმატებები გფრ-ში, ბელგიაში, შვეიცარიასა და ისრაელში.

— სპეციალურად პარიზის გასტროლებისათვის ხომ არ შეიქმნა „კაომა“?

— ჩვენი ჯგუფის წევრები ერთად ვუკრავდით ბენდში, რომელსაც „ტურ კუნდა“ ეწოდებოდა. ეს სენეგალში იყო, მაგრამ ჩვენი ჯგუფი ინტერნაციონალურია. მასში გაერთიანებულია ალჟირის, გვადელუპას, მარტინიკისა და საფრანგეთის წარმომადგენლები. ფილმების ცნობილმა მწარმოებელმა ჟან კარაკოსმა ერთ მშვენიერ დღეს მოგვასმენინა „ლამბადა“ და შეგვეკითხა შევძლებდით თუ არა ამის შესრულებას. ასე შეიქმნა „კაომა“. მოვიდნენ მომღერლები — ჯაზის შემსრულებელი ლოალვა, დიზაინერი მონიკა და ფოტომოდელიორი ნიანგ ფატუ. სამივე ბრაზილეელია, ისევე, როგორც ჩვენი რვა მოცეკვაველეც.

— ნიშნავს თუ არა სახელი „კაომა“ რაიმეს?

— ეს არის პორტუგალიური „კალმას! ფონეტიკური კონსტრუქცია და ნიშნავს „სიმყუდროვეს“, „წონასწორობას“.

— დადის ხმები, რომ „ლამბადა“ თქვენს მიერ არის მითვისებული?..

— უძველესი ბოლივიური ტრადიციაა. ვერავინ ვერ დაამტკიცებს, რომ ეს მისი საკუთრებაა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩვენამდეც სრულდებოდა. ყველაფერი გარკვეულია. კარაკოსმა რამდენიმე მილიონი გადარიცხა მექსიკაში, ბოლივიაში და ასე შემდეგ. მაგრამ ნუ შემეკითხებით თუ რა თანხა იყო ეს.

— თქვენ მღერიხართ პორტუგალიურ, ფრანგულ, — კრეოლურ და ესპანურ ენებზე. იმ ენებზე, რომლებიც თქვენს მილიონობით გულშემატკივარს არ ესმის. რა უდევს საფუძვლად „ლამბადას“ წარმოშობას?

— თემა ბოლივიურია. მასში ნაჩვენებია თუ როგორ განიცდის ქმრის მიერ მიტოვებული ცოლი. სიმღერა ნაღვლიანია, მიუხედავად იმისა, რომ ასე არ ეჯერს. „ლამბადას“ მუსიკა შეგვიძლია შევადაროთ ბლიუზს, რომელსაც შეუძლია ბედნიერებისა და ტკივილის გამოხატვა.

— თვით ჯგუფის წევრები თუ ცეკვავენ „ლამბადას“?

— ჯერჯერობით ამ მიმართულებით პირველ ნაბიჯებს ვდგამთ...

მასალა მოამზადა
ვალხაზ რადიანმა.

დეპუტატობის კანდიდატის განცხადება

იმის გამო, რომ უღირსნი და ცოდვილნი არა თუ არ ხსნიან თავიანთ კანდიდატურებს უზენაესი საბჭოს არჩევნებში, არამედ ოდნავადაც არ თმობენ იმპერიულ ძალებთან წილნაყარ პოზიციებს და თავგანწირვით მიისწრაფვიან იმ ახალი პარლამენტისაკენ, რომელზედაც მცირეოდენ იმედს ვამყარებდით;

იმის გამო, რომ ახალ პარლამენტში ჭეშმარიტ მამულიშვილთა ხელოვნურ უმცირესობაში მოხვედრა წინასწარაა დაგეგმილ-დაანგარიშებული, ერთმმართველური პარტიის მიერ, რათა რადაც არ უნდა დაუჯდეთ დაამუხრუჭონ ეროვნულ გამანთავისუფლებელი მოძრაობა;

იმის გამო, რომ სავლენი ძალაც სავლედ რჩებიან და ამბიციურ ეიხს აყოლილნი ახლაც პრესტიჟულ დანამატად მიიჩნევენ დეპუტატობას;

აგრეთვე იმის გამო, რომ სამწუხაროდ, მოსახლეობის ფართო ფენების ერთი ნაწილიც არ არის საღეღისოდ მზად სწორი არჩევანის გასაკეთებლად (რაშიც კიდევ ერთხელ დამარწმუნა ამომრჩევლებთან მრავალრიცხოვანმა შეხვედრებმა, მე ვხსნი ჩემს კანდიდატურას და როგორც რიგითი მწერალი და მოქალაქე მტკიცე პროტესტს ვუცხადებ იმ ახალგამოჩეკილ „ერისკაცებს“, მიიმიტ ამომრჩეველთა გულის მოსაგებად უკადრებელს რომ კადრულობენ და ამით ძირს უთხრიან საყოველთაოდ გაშლილ ეროვნულ მოძრაობას, რომელსაც ისედაც უამრავი ვაიპატრიოტი და ნიღბოსანი მიეტმასნა.

აქვე დიდ მადლობას მოვახსენებ ჩემს პატივცემულ ნდობით აღჭურვილ პირებს, კეთილგანწყობილ ამომრჩევლებს, თანამოაზრეებს ნდობისა და თანადგომისათვის.

ამირან კალაძე
1990 წლის 16 მარტი

მიეცი ნიჭსა გზა ფართო...

ზოგჯერ ადამიანს მთელი ცხოვრება სჭირდება, რათა საკუთარ თავში აღმოაჩინოს თავისი მოწოდება, გზა თვითგამოვლენისა და ცხოვრებაში საკუთარი ადგილის პოვნისაკენ რთული და ხანგრძლივია. მაგრამ ბუნებისაგან მომადლებული ნიჭი ზოგჯერ იმდენად ამოკლებს ამ გზას, რომ შედეგს განცვიფრებაში მოვყავართ. პირველი გრძნობა, რომელიც 16 წლის ზურაბ კაკუშაძის ცხოვრების ფურცლის გადავლებას შემდეგ შეიძლება დაებადოს ადამიანს, ეს არის სწორედ გაოცების გრძნობა. როგორ მოხდა, რომ 16 წლის ბიჭმა მიაღწია იმას, რასაც ადამიანები მთელ თუ არა ნახევარ ცხოვრებას მაინც ანდომებენ? ბოლო-ბოლო ვინ არის იგი? ფენომენი? ვუნდერკინდი? თუ... თუმცა ყველა ამ კითხვაზე, ალბათ, მკითხველი თვითონ გასცემს პასუხს და სათანადო დასკვნის გამოტანასაც ცდილობს.

მაშ ასე... იცნობდეთ — ზურაბ კაკუშაძე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა, რომელმაც თავისი მოწოდება ჰპოვა ფიზიკაში და თავისი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე უზარმაზარი ნაბიჯებით მიემართება.

ზურაბი მშობლიური ქართულის გარდა, თავისუფლად ფლობს რუსულს და ინგლისურს, რაც მთავარია, თითქმის შესწავლილი აქვს ის პროგრამა ფიზიკა-მათემატიკაში, რომელიც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს მოეთხოვება. ეს მას აძლევს საშუალებას აწარმოოს კვლევითი სამუშაოები ფიზიკის სხვადასხვა დარგში: კვანტური მექანიკა და ველის კვანტური თეორია, ელემენტარული ნაწილაკები და მყარი სხეულების ფიზიკა, გრავიტაცია და მაგნიტური რეზონანსის მოვლენები და სხვა. ყველა ამ დარგში მას გაკეთებული აქვს სოლიდარული გამოკვლევები, რომლებიც ზოგი უკვე დაიბეჭდა და ზოგიც დასაბეჭდადაა გამზადებული.

თავისი ნიჭი და შესაძლებლობანი ზურაბმა ჯერ კიდევ პატარაობისას გამოავლინა. მის ცხოვრებაში, გაჩენის დღიდან მოყოლებული ყველაფერი ადრეულად ხდებოდა. 8 თვისამ დაიწყო სიარული და ლაპარაკი. ერთი წლის ასაკში უკვე გარკვეულად საუბრობდა და საკმაოდ დალაგებულად გადმოსცემდა აზრებს. 3 წლისა სრულიად დამოუკიდებლად შეუდგა ანბანის შესწავლას მალე წერდა და კითხულობდა ქართულად და რუსულად. ამის შემდეგ მას ბერძნული ანბანის შესწავლის სურვილიც გაუჩნდა. პატარა ზურაბი მშვენიერი მოლექსე და საკმაოდ ერუდირებული, საინტერესო მოსაუბრე იყო. იგი თვითონ იგონებდა და წერდა ზღაპრებს. 3-4 წლის ასაკში ზურაბი კარგად ფლობდა არითმეტიკულ ოპერაციებს. შეეძლო, საათობით მჯდარიყო და ამოცანები და მაგალითები ამოეხსნა.

ზურაბი განსხვავდებოდა თავისი თანატოლებისაგან. განსხვავდებოდა თავისი ასაკისათვის შეუფერებელი ქცევებით, აზროვნებით, ინტერესებით, ითვისების საოცარი უნარით. რაც კი მის ყურადღებას მიიპყრობდა, რის შამართალ გამოავლენდა ინტერესს. აუცილებლად შეუდგებოდა მის შესწავლას და სულ მალე ამომწურავ ცოდნას მიიღებდა მასზე... და ბოლოს მთავარი დაინტერესებაც გამოიკვეთა, გაჩნდა მთავარი მისწრაფება. ზურაბი შეუდგა ფიზიკისა და მათემატიკის საფუძვლების შესწავლას. ავლენდა საოცარ მონდომებას და სწრაფად ათვისების უნარს. 9 წლის ასაკში, მესამე კლასში უკვე გავლილი ჰქონდა სკოლის პროგრამის ფიზიკის სრული კურსი, რასაკვირველია შესაბამისად ფლობდა მათემატიკასაც. ბევრ გეომეტრიულ თეორემას თვითონ ამტკიცებდა. ამ პერიოდში ზურაბმა უკვე დაიწყო პირველი კვლევითი სამუშაოები. მას აღარ აკმაყოფილებდა ზოგადი ფიზიკის ზოგიერთი საკითხის გაშუქება სასკოლო სახელმძღვანელოს მიხედვით. მისი გონება გაცილებით უფრო დიდ, ფუნდამენტურ ცოდნას იტევდა. ზურაბის მიერ დასმულ საკითხებზე პასუხის გაცემა უჭირდათ საკმაო კვალიფიკაციისა და ცენზის მქონე ფიზიკოსებსაც.

80-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, აწ გარდაცვლილმა პროფესორმა რევაზ დოღონაძემ პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან ჩამოაყალიბა ფიზიკა-ტექნიკური სკოლა ფიზიკით დაინტერესებული მოსწავლეებისათვის. აქ თავს იყრიდნენ ნიჭიერი, ფიზიკის საფუძვლიანად შესწავლის მსურველი ბავშვები. რევაზ დოღონაძის სკოლაში მიიყვანეს ზურაბიც. იგი მაშინ მეოთხე კლასის მოსწავლე იყო. პროფესორზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ნიჭიერი ბავშვის გაცნობამ და პირდაპირ მერვეკლასელთა ჯგუფში დასვა. ზურაბი ოთხი წლით თავისზე უფროსებთან ერთად სწავლობდა, მაგრამ მათშიც გამორჩეული იყო, სწორედ ამ დროიდან დაიწყო ზურაბმა სერიოზული მუშაობა ფიზიკისა და მათემატიკის საფუძვლების შესწავლაში. რ. დოღონაძის აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა. „მე ვიპოვე მეორე ლანდაუ!“ — ამობდა ის.

მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის საოცრად თბილი, მეგობრული ურთიერთობა დამყარდა, რომელიც წელიწადნახევარი გაგრძელდა. ამ დროის განმავლობაში ისინი იმდენად დაახლოვდნენ და შეეთვისნენ ერთმანეთს, რომ უერთმანეთოდ ვეღარ ძლებდნენ. როდესაც ზურაბი ცხვარიჰამიაში ბინერკთა ბანაკში ისვენებდა, რ. დოღონაძემ ერთი კვირის განმავლობაში სამჯერ ინახულა იგი.

დრო გადიოდა ზურაბი ცოდნის კიბეს ჩვეული, სწრაფი რიტმით მიუყვებოდა და სულ უფრო და უფრო მაღლა მიიწევდა. იგი არაერთხელ იყო რესპუბლიკური, თუ საკავშირო ოლიმპიადების მონაწილე. მეხუთე კლასში იყო ზურაბი, როდესაც მონაწილეობა მიიღო მოსწავლეთა რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურში ფიზიკაში მერვე კლასის პროგრამით. ჟიური აღფრთოვანებული იყო დასკვნითი ტურის ყველაზე ნორჩი მონაწილის ღრმა ცოდნით ფიზიკაში. დაჯილდოვების დროს ჟიურის თავმჯდომარემ, პროფესორმა ნოდარ ცინცაძემ ოთხასკაციან აუდიტორიას ასე მიმართა: — ახლა გამოვა ზურაბი, ისე როგორც ვაჟას, ილიას, აკაკის არ სჭირდება გვარი საქართველოში, ასევე ზურაბს არ სჭირდება გვარი ამ დარბაზში. მართლაც ყველა იცნობდა განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ბიჭს. ამ ოლიმპიადაზე ზურაბი სპეციალური პრიზიებით დაჯილდოვდა. ამის შემდეგ მან სამჯერ გაიმარჯვა რესპუბლიკურ ოლიმპიადებში მეათე კლასის პროგრამით და დაჯილდოვდა შესაბამისად III, I და II ხარისხის დიპლომებით.

1987 წელს ზურაბმა გაიმარჯვა ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაში და დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომით, იმავე წელს ზურაბმა მონაწილეობა მიიღო ჭალაქ ტალინში გამართულ საკავშირო ოლიმპიადაში მეათე კლასის პროგრამით და დაჯილდოვდა ჟიურის სპეციალური პრიზით, ხოლო შემდეგ წელს ასევე საკავშირო ოლიმპიადაზე გაიმარჯვა და დაჯილდოვდა II ხარისხის დიპლომით. იმავე წელს, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ გაიმარჯვა სტუდენტთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე (აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა ოლიმპიადაში ძირითადად 4-5 კურსის სტუდენტები მონაწილეობდნენ) და დაიკავა პირველი ადგილი.

ზურაბმა გამოტოვა მე-7 და მე-9 კლასები და დაჩქარებით დაამთავრა თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური რესპუბლიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი. 15 წლის ზურაბი უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი გახდა. ოქტომბერში იგი საქართველოს სტუდენტ-ფიზიკოსთა ჯგუფთან ერთად გაემგზავრა ქ. კიშინოვში სტუდენტთა საკავშირო ოლიმპიადაზე „სტუდენტი და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამები“.

ილია ლომიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეორიული ფიზიკის კათედრის ასისტენტი: წუთითაც არ მეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ ზურაბი გაამართლებდა ჩვენს იმედებს და გვასახლებდა საკავშირო ოლიმპიადაზე. 15 წლის ზურაბი მაშინ ფიზიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი იყო, ოლიმპიადაში კი ძირითადად დამამთავრებელი კურსების სტუდენტები მონაწილეობდნენ. ზურაბმა 31 ქულა მოაგროვა და მხოლოდ 0.3 ქულით ჩამორჩა I-II ადგილებზე გასულ სტუდენტებს მაგრამ, რაც მთავარია. მან დაამყარა რეკორდი თეორიულ ტურში მთელ ამ ოლიმპიადების არსებობის ისტორიაში.

მინდა აღვნიშნო, რომ ზურაბს აქვს დასმული საკითხებისა თუ ამოცანების არასტანდარტული მეთოდებით, ორიგინალურად გადაწყვეტის უნარი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ფიზიკოსი-მკვლევარისათვის.

სხვათა შორის, ამ უნარმა საკავშირო ოლიმპიადის მსვლელობის დროს ჟიურის ერთგვარი სირთულეებიც კი შეუქმნა. ზურაბის მიერ დასმული ამოცანების ამოხსნის გზა იმდენად განსხვავდებოდა ავტორისეული სტანდარტული გზისაგან, რომ ნაშრომის ობიექტური შეფასება ჟიურომ მხოლოდ ზურაბთან დამატებითი საუბრის შემდეგ შესძლო. ჩემი აზრით, სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ სათანადოდ ვერ შეფასდა ზურაბის ცოდნა და იგი ქულათა რაოდენობით ჩამორჩა თავის მეტოქეებს. მაგრამ ეს არ არის მთავარი ზურაბი უნიჭიერესი ახალგაზრდაა და მწამს, რომ იგი კიდევ ბევრს მიაღწევს თავის ცხოვრებაში.

ვისთვის როგორ და ზურაბისათვის ოლიმპიადაში მონაწილეობა და გამარჯვებები ბევრს არაფერს ნიშნავს. 1988 წლის შემდეგ მას ოლიმპიადებში მონაწილეობა აღარ მიუღია, როგორც თვითონ ხუმრობით აღნიშნავს — „დასტოვა დიდი სპორტი“.

1986 წელს სტუდენტთა 57-ე სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაზე მოხსენებისათვის თემაზე — „უარყოფითი აბსოლუტური ტემპერატურები“ ზურაბი დაჯილდოვდა I ხარისხის დიპლომით. სულ ახლახან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორის სახელზე მოვიდა ოფიციალური ქაღალდი, რომელიც იუწყება, რომ სტუდენტთა დაუსწრებელ საკავშირო კონკურსზე ზურაბის ნაშრომი დაჯილდოვდა დიპლომით.

ამჟამად ზურაბი პროფესორ მიხეილ ზვიადაძესთან ერთად მუშაობს ახალ თემაზე.

მიხეილ ზვიადაძე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი და თეორიული ფიზიკის კათედრის გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: ზურაბი ჩემს თვალში გარკვეულწილად ვუნდერკინდია. ეს არის საოცრად შრომისმოყვარე ადამიანი, თავისებური აზროვნებით, მსოფლმხედველობით, კარგად განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობით.

ზურაბის მაღალი გონებრივი დონე ჩვენს შორის შლის ასაკობრივ ბარიერს, მე მას ვესაუბრები, როგორც ზრდადასრულებულ ადამიანს, როგორც კოლეგა ფიზიკოსს. 1989 წლის ოქტომბერში ქ. ალუშტაში საკავშირო კონფერენციაზე მე და ზურაბი საერთო მოხსენებით უნდა წარვმდგარიყავით. მოხდა ისე, რომ მე ავად გავხდ და ზურაბი მარტო გაემგზავრ. მაგრამ მე სავსებით ვენდობოდ მას, სრულიად დარწმუნებულ ვიყავი, რომ იგი უჩემოდაც ყველ ფერს მაღალ დონეზე გააკეთებ და. ამჟამად ჩვენ ვამუშავებთ თ მას „არაერთგვაროვნად გაგანი რებული საძინური სისტემების დ ნამიკა“. ზურაბთან თანამშრომლ ბა ძალიან საინტერესოა. ამა თ იმ საკითხის გადაწყვეტისაკენ ი ყოველთვის თავისებური გზები გამოძებნის ორიგინალურ მ თოდს.

ზურაბს მომადლებული აქ ათვისების საოცარი უნარი და უნარს მხოლოდ ფიზიკაში და მ თემატიკაში როდი ავლენს. ჩე აზრით, მას ანალოგიურად ყველ საგანში შეუძლია იგივე წარმატ ბის მიღწევა, რასაც ფიზიკაში მ აღწია.

ზურაბს დიდი ცოდნა აქვს დ გროვილი. მას შეუძლია ადგ დაიცვას დისერტაცია. გახდეს მ ღალი რანგის მეცნიერი.

ნოდარ ცინცაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტ პროორექტორი სამეცნიერო დარ ში, პროფესორი: ზურაბი საო ცარი ნიჭით დაჯილდოებული ახ ლგაზრდაა. თავისი განათლებ და ცოდნით იგი უკვე კვალიფიკ რებული მეცნიერ-მუშაკის დონე დგას. ფიზიკა ეს ისეთი მეცნი რებაა, რომელიც მოითხოვს უ არმაზარ შრომას, განუწყვეტლ მუშაობას. დიდ ნებისყოფას. მხ ლოდ ყველა ამ მოთხოვნის დაკმ ყოფილებით შეიძლება მიაღწი ადამიანმა სასურველ შედეგს. ზ რაბი მშვენიერად ფლობს ყველ ამ აუცილებელ ფაქტორს.

მეცნიერული გამოკვლევებ დროს ზურაბს ხარყოყარი ალ აძლევს საშუალებას თავისით მ ვიდეს ამა თუ იმ დასკვნამდე. ა რე იყო შემთხვევები, როდეს მან დაამტკიცა უკვე დამტკიც ბული და ამოაჩინა. უკვე ალმ ჩენილი. (მან უბრალოდ არ იც და. რომ ეს ამოჩენები უ გაკეთებული იყო). ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ ბიჭს გ აჩნია დიდი საფუძველი, ცოდ და იგი თავისით მიდის საკმაო სოლიდურ დასკვნამდე. ზურა განუწყვეტლივ მუშაობს. აქვს დ დი წარმატებები. მე მჯერა, რ იგი ამომავალი ვარსკვლავია მე ნიერებაში.

აუცილებელია, რომ ხელი შ უწყოთ ამ უნიჭიერეს ახალგაზ დს, უნივერსიტეტის რექტორ ტი ყოველნაირად ეცდება დაეხ როს მას. დაგვიმეი გვაქვს ად დავამთავრებინოთ უნივერსიტე აგრეთვე დაგეგმილია მისი საზ ვარგარეთ სასწავლებლად გაგ ვნა.

ზურაბის ნაბიჯები მეცნიერებ გზაზე ყოველთვის გვანცვიფ ბდა თავისი სიდიდით და თუ ასეთი ნაბიჯებით გააგრძელა ს რული, რასაკვირველია ჩვენი ლშეწყობით. იგი შორს წავა.

...ბეტი რაღა დაგვრჩენია. სურვოთ ზურაბს მუდმივი წინ ლა და წარმატებები თავისი ც ვრების საინტერესო გზაზე.

ეკა აკობი

მაია ჩიბურდანიძე: ახლა პოლგარების „სვლაა“!

დიდი ხანია არ გვენახა ერთმანეთი. მაია ჩიბურდანიძე სულ წასულია. მას იწვევენ საასპარეზოდ ევროპასა თუ ამერიკაში დიდოსტატ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებში. ახლახან დაბრუნდა ესპანეთიდან, სადაც ქალაქ სალამანკას ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში გამოდიოდა.

ჩვენი შეხვედრა დაიწყო საუბრით საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის დამოუკიდებლობის თაობაზე.

— მართალია, ვერ ჩამოვუსწარი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის საგანგებო სხდომას, რომელიც საკავშირო ფედერაციიდან თავის გამოსვლის საკითხს იხილავდა, მაგრამ იცოდეთ, მეც ვუჭერ მხარს ამ გამოყოფას. კარგია, რომ უკვე მზადდება ჩვენი ეროვნული საჭადრაკო ფედერაციის წესდების პროექტი. სხვათა შორის, შარშან დეკემბერში, ისრაელში, სადაც ევროპის გუნდურ პირველობას ვესწრებოდი, ვესაუბრე ფიდე-ს პრეზიდენტს კამპომანესს ფიდე-ს წევრად საქართველოს მიღებაზე. მან უარი მითხრა, თუმცა ადიარებდა საქართველოს მოჭადრაკეთა დიდ დამსახურებას მსოფლიოს საჭადრაკო მოძრაობის წინაშე. საქართველო, როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკები, საბჭოთა კავშირის ნაწილია და ამიტომ ფიდე ვერ მიიღებს მას თავის წევრად. ჩვენ აუცილებლად უნდა ვიყოთ ფიდე-ს წევრი, რომ მსოფლიო პირველობისთვის ვიბრძოლოთ. საქმე ისაა, რომ ამას ვერ მოვახერხებთ დიდოსტატთა საერთაშორისო ასოციაციის გზით, რადგან ამ ასოციაციამ მხოლოდ ვაჟთა მსოფლიო პირველობის ორგანიზება გადაიბარა. ქალთა პირველობა კვლავ ფიდე-ს განკარგულებაში დარჩა. მაგრამ იმედი არ უნდა დავკარგოთ. ცხოვრება მიგვანიშნებს გამოსავალს.

— რა თქმა უნდა. მთავარია მონდომება არ შევახუსტოთ. ახლა როგორია სალამანკაში სტუმრობის შთაბეჭდილებები.

— ესპანელ ახალგაზრდობას განსაკუთრებულად უყვარს პატარა და ლამაზი ძირძველი სალამანკა. იგი ამაყობს სალამანკას უნივერსიტეტით, რომელიც, მგონი, ძეორეა ევროპაში თავისი სიძველით. როცა შეიტყობ, რომ სალამანკაში უასპარეზია ესპანეთის XVI საუკუნის გამოჩენილ მოჭადრაკეს რუი ლოპეს არ გაგიკვირდება, ჭადრაკისადმი აქ დასადგურებული დიდი სიყვარული. სწორედ მისი შედეგია სალამანკას უნივერსიტეტის მიერ 1987 წლიდან ძმოდებული საერთაშორისო ტურნირის გამართვის ტრადიცია. ჩვენი ტურნირი მეოთხე იყო. პირველი და მესამე ესპანელმა საერთაშორისო ოსტატმა მანუელ რივასმა მოიგო, მეორე კი კოლუმბიელმა დიდოსტატმა გილდარგო გარსიამ. სხვათა შორის, 1989 წლის ტურნირში მონაწილეობდნენ ჩვენი დიდოსტატი თამაზ გიორგაძე და დები ჟუჟა და იუდით პოლგარები. თამაზმა მეორე ადგილი დაიკავა, ჟუჟამ — მეოთხე, იუდითმა კი ბოლო, მეთორმეტე.

ჩვენს ტურნირში ათნი ვმონაწილეობდით. მათგან ოთხი დიდოსტატი ვიყავით — პერუელი ორესტ როდრიგესი, ბრაზილიელი ჟან სუნიე-ნეტო, ესპანელი ლუის ფერნანდესი და მე. ტურნირი მეათე კატეგორიისა იყო. საინტერესოა, რომ ყველა ადგილისთვის პრიზი იყო დაწესებული. პირველი პრიზი და 200 ათასი პესეტო, ანუ 1800 დოლარი მოიპოვა იუგოსლავიელმა საერთაშორისო ოსტატმა მიუდრაგ ტოდორჩევიჩმა. მან 6 ქულა მოაგროვა. მე 4,5 ქულით მეხუთე ადგილი დავიკავე. ორი პარტია მოვიგე, ამდენივე წავაგე და ხუთი ყაიმით დავამთავრე.

— შედეგით კმაყოფილი თუ ხარ?

— რა თქმა უნდა, არა. მაგრამ ზოგიერთი პარტია კარგად წარვმართე. ბოლო ექვსი წელია მხოლოდ ვაჟთა ტურნირებში ვმონაწილეობ. ქალებს მხოლოდ მსოფლიო პირველობის მატჩში და ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადებზე ვხვდები. საქმე ისაა, რომ მოჭადრაკე ქალი ვაჟებთან პაექრობაში უნდა სრულყოფდეს თავის თამაშს. ამიტომ ვამჯობინებ ვაჟთა ტურნირებში მონაწილეობას. სხვათა შორის, ასევე ფიქრობენ დები პოლგარები. ბევრსაც თამაშობენ. ჟუჟა უკვე დიდოსტატია ვჯუთა შორის. მას, ნონა გაფრინდაშვილსა და ჩემს შემდეგ, მიეკიჭა ეს წოდება. იუდითი და სოფი საერთაშორისო ოსტატები არიან. ასე რომ, ვაჟებთან შეხვედრები მეტს გვაძლევს მოჭადრაკე ქალებს. ცხადია, მომავალშიც მსგავს ტურნირებში ვიასპარეზებ.

— სიტყვამ მოიტანა. ახლა ბევრს აინტერესებს: ბოლოს და ბოლოს ითამაშებენ თუ არა დები პოლგარები მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის. რა იცი ამის შესახებ?

— შარშანწინ საბერძნეთში ქალთა ოლიმპიადის დღეებში პოლგარების მამა ლასლო პოლგარმა რამდენიმე ინტერვიუში განაცხადა, რომ თანახმაა მისი ერთ-ერთი ქალიშვილი მე შემხვდეს ამხანაგურ მატჩში. შარშან ისრაელში რომ ვიყავი, ვუთხარი ბატონ ლასლოს, რომ მზად ვარ ვეთამაშო იუდითს. მას თითქოს გაეხარდა, მაგრამ მყისვე წამოაყენა უმძიმესი პირობა. მატჩის ორგანიზატორმა ჰონორარის სახით იუდითს 200 ათასი დოლარი უნდა გადაუხადოსო. ალბათ, ამდენსავე თანხას დასაჯილდოებლად მოითხოვდა. ცხადია, მატჩის გამართვის ჩსურველი ჯერ არავინ აღმოჩნდა. რაც შეეხება მსოფლიო პირველობაში დების მონაწილეობას ძარშან პუერტო-რიკოში გამართულ ფიდე-ს სხდომაზე გადაწყდა: უმაღლესი რეიტინგის მქონე ორი და — ჟუჟა და იუდითი პერსონალურად მიიწვიეს პრეტენდენტთა ტურნირში, რომელიც 1991 წლის გაზაფხულზე უნდა გაიმართოს. ასე რომ, ამ ტურნირში 8 დიდოსტატის ნაცვლად 10 ითამაშებს. პოლგარების პასუხი ფიდე-ს ჯერჯერობით არ მიუღია.

— როგორ ფიქრობ, ითამაშებენ?

—ძნელია ამის თქმა. მათ არ სჭირდებათ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ფულს ისედაც საკმაოდ ღებულობენ. მაგალითად, ინგლისელი საჭადრაკო მიმომხილველი ბარდენი წერს: „ყოველ საზღვარგარეთულ ტურნირში, სადაც მას იწვევენ, 13 წლის იუდით პოლგარი ითხოვს — ღებულობს კიდეც — ექსტრაჰონორარს 12 ათასი დოლარის რაოდენობით. მეტს, ვიდრე თვით კასპაროვი!“ პრეტენდენტთა ტურნირში წარუმატებლად რომ გამოვიდეს, ანდა დამარცხდეს ჩემთან ამხანაგურ მატჩში, მაშინ ხომ ამდენ ფულს არავის მისცემს. ამიტომაც ამბობენ: ჩვენ არა გვაქვს პრეტენზია მსოფლიო ჩემპიონის ტიტულზე. სინამდვილეში თავი ჩემპიონებად მოაქვთ. ყოველ შემთხვევაში ტურნირების ორგანიზატორებს ასეთებად მიაჩნიათ ისინი. აი, ამიტომ არ შემიძლია ვთქვა: მიიღებენ თუ არა ისინი მონაწილეობას პრეტენდენტთა ტურნირში ან დაუკლებენ მოთხოვნებს ორგანიზატორებისგან ჩემთან შესახვედრად.

— ალბათ, თქვენ ხშირად ხვდებით პოლგარებს?

— ტურნირში ბოლოს შევხვდი იუდითს კანადაში „სწრაფ ჭადრაკში“ მსოფლიო პირველობაზე. შეხვედრა ყაიმით დავამთავრეთ. გოგონებს მუდამ ახლავთ მამა ან დედა. შარშან ვნახე ისინი ისრაელში ევროპის გუნდურ პირველობაში მონაწილეობდნენ ინგლისელთა სახელით. ამას წინათ დიდოსტატმა ვასილ ივანჩუკმა მითხრა, რომ ჟუჟა [illegible] საერთაშორისო ოსტატ პეტერ სუკეის. ეს მისთვის [illegible] ოსტატ ლაიოშ პორტიშს უთქვამს. რამდენად სწორია არ ვიცი.

— ახლა ხაით აპირებ გამგზავრებას?

— ჯერ. კიდევ დეკემბერში მივეცი თანხმობა თურქეთის ჭადრაკის ფედერაციას, რომ მონაწილეობას მივიღებ იზმირის დიდ საერთაშორისო ტურნირში. მას შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად გამართავენ. მოსალოდნელია ცნობილი დიდოსტატების მონაწილეობა, რადგან პირველი პრიზი საკმაოდ დიდი თანხაა — 18 ათასი დოლარი. ქალთაგან შესაძლოა ჩამოვიდეს შვედი პია კრამლინგი, რომელიც, როგორც მე, მხოლოდ ვაჟთა ტურნირებში მონაწილეობს. პია ძალიან ხშირადაა ესპანეთში, სადაც მისი მეგობარი და მწვრთნელი დიდოსტატი ბელონი ცხოვრობს. იზმირის ტურნირი 12 აპრილს დაიწყება.

— სწორედ ამ დროს თბილისში სტარტს აიღებს საქართველოს ქალთა მეტად მიმზიდველი ჩემპიონატი, რომელშიც ჩვენი უკვე ლა დიდოსტატი მიიღებს მონაწილეობას. მხოლოდ შენ არ იქნები.

— ვიცი ამ ტურნირის შესახებ. როგორც ვთქვი, ქალთა ტურნირებში ექვსი წელია არ ვმონაწილეობ. მე შევთავაზე ჩვენს მეჭადრაკეურეს (გამართონ საქართველოს ახსოლუტური ჩემპიონატი შვიდ-შვიდი დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი ვაჟთა და ქალთა მონაწილეობით. მასში მეც მივიღებდი მონაწილეობას.

— მერე კიდევ რომელი ტურნირია მოსალოდნელი?

— მაისის დამდეგს საქართველოს ქალთა ნაკრები გაეგზავნება იუგოსლავიაში ქალაქ სმედერევსკა-პალანკაში, სადაც საპასუხო მატჩში შეხვდება სპორტკლუბ „ვოშას“ მოჭადრაკე ვაჟთა გუნდს. ალბათ, გახსოვთ ეს გუნდი ორი წლის წინათ ჩვენი სტუმარი გახლდათ.

ახლა თუ მეტი შეკითხვა არა გაქვთ. მე მაქვს შეკითხვა: როდის გამოვა თქვენი წიგნი ჩემი და ნანა იოსელიანის მატჩის შესახებ?

— წიგნი, რომელსაც დავარქვი „საჭადრაკო შემოდგომა თელავში“, უკვე იბეჭდება, ალბათ, აპრილის დამდეგს გამოჩნდება წიგნების მაღაზიებში.

თენგიზ გიორგაძე,
საერთაშორისო არბიტრი.

ეს ჩვენი ისტორია



თმოგვის ციხე

მესხეთი, ასპინძის რაიონი

მე-12-13 საუკუნეები

თამაზ ქიქავას ფოტო.

პატივცემულო რედაქცია!

საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარება და ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების ნათლად გამოკვეთილი პოზიცია მოვლენებისადმი მარწმუნებს იმაში, რომ ახლანდელი არჩევნები მოკლებულია ყოველგვარ იურიდიულ თუ მორალურ (სიმართლეს) საფუძველს.

ახლად არჩეული პარლამენტი იქნება იგივე, ანდაც უარესი იმაზე, რაც დღეს გვაქვს, რადგანაც არჩევნები მიმდინარეობს ერთი პარტიის ჰეგემონიის, ფსევდო-დემოკრატიული ფარსის პირობებში და ვერ ასახავს ქართველი ხალხის თავისუფლებას. ამ (და სხვა მიზეზთა გამოც) ვხსნი ჩემს კანდიდატურას საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატის კანდიდატობიდან და მხარს ვუჭერ 25 მარტს დანიშნული არჩევნების გაუქმებას.

უღრმეს მადლობას ვუცხადებ ქინვალის 135 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს ნდობისათვის.

კოგა არაბული,
მწერალი,
სახალხო ფრონტის სარევიზიო კომისიის წევრი.

მოკლე შეკითხვით მინდა მივმართო ჩვენს საზოგადოებრიობას; საჭიროა თუ არა გვქონდეს გზის სახელწოდება — **საქართველოს სამხედრო გზა?** დროა ჩვენი ლექსიკონიდან გაქრეს „ვოენნო-გრუზინსკაია დოროგა“ თავისი გზისპირა ატრიბუტიკით.

პატივისცემით:
ალექსანდრე ჟღენტი,
კინორეჟისორ[illegible]

განმარტება

გაზეთის წინა ნომრის პუბლიკაციაში — **„თავისუფლების შოვნაი სჯობს საშოვნელსა ყველასა, ანუ ვის სჭირდება აჭარის ავტონომია“**, გაიპარა უხერხული შეცდომა: პირველი სვეტის მეორე აბზაცი ასე უნდა იკითხებოდეს:

„გარეგან მიზეზთაგან არსებითია რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის საცეცებისგან თავის გამოხსნის სირთულე; გარდა ამისა, გარეგან ბარიერად ჩაითვლება ისიც,...“ შემდეგ როგორც ტექსტშია.

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს ეკ ცკ-ის გაზეთების ფარეის ეროვნული დაფეფის ცენტრალური სტამბა, ქუთაისი, მაზიაშვილი-96, ლენინის ქ. № 14, მზადდება ოფსეტური წესით ბეჭდვა ოფსეტურ ქორაუსში, პოუკრასელის 20. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13

უე 00196